ISSN 0321–1509
3 • 1992

645
1992/2




# საქართველოს ქალი



„ელისო ბოლქვაძე
არის დიდი ენერგიისა
და პიროვნული ხიბლით



ალსავსე პიანისტი.
ის რასაც აკეთებს,



სავსეა სიყვარულით და
სულიერებით".

„ჩიკაგო სუნ ტაიმს"



# ღია ბარათი იუბილარს

## ძვირფასო ქალბატონო მედეა!

ალბათ, ყველა ადამიანს აქვს მშვენიერებასთან შეხვედრის ისეთი დაუვიწყარი წამი, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე თან ახლავს და მღვრიე ყოველდღიურობის მოსაწყენ ბურუსში ისე გაუკრთება ხოლმე თვალწინ, როგორც ციცინათელას შუქი ზაფხულის ღამის სიბნელეში.

ჩემი ბავშვობიდან მე ორი ასეთი სულის ზეიმი მახსოვს.

პირველი: თქვენი პირველი გამოჩენა ჯულიეტას როლში ბროწეულის ყვავილისფერი კაბით ქუთაისის თეატრის სცენაზე მარჯანიშვილელთა გასტროლების დროს. თქვენ ყვავილივით ლამაზი კი არა, თავზარდამცემად ლამაზი ბრძანდებოდით. და მერე როგორი სულისწამღებად საყვარელი აივნის სცენაში: „ჩემო რომეო, რატომ გქვია მაინც რომეო?" ყივანახველა მახრჩობდა, შინ მაინც არ დავრჩი და ისე დამთავრდა სპექტაკლი, პირზე ორ ცხვირსახოცაფარებულს, ხელების შეტევისთვის მზადმყოფს, თუ დამიჯერებთ, ერთხელაც არ დამიხველებია. შოკმა განმკურნა. მაშინ რა ვიცოდი, თურმე მშვენიერება კურნავს.

და მეორე: მგონი შემდეგ ზაფხულს იყო.

ბათუმის სანაპირო. მშვიდი ლაჟვარდისფერი დილა. ბაღში მტვერდაუდები გლადიოლუსები და ურცხვად გაბრდღვიალებული ოლეანდრები ხასხასებენ. გამჭვირვალე ჰაერში ვარდების ნაზი სურნელი ლივლივებს. ხუჭუჭა ტალღები ანცად ელამუნება ჭრელ ქვებს. სანაპიროზე მხიარული გადაძახილი და ჟრიამულია. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს უხილავმა რეჟისორმა დეკორაცია შეცვალა. გაჩნდა რაღაცის საზეიმო მოლოდინი. ყველას თავი „ინტურისტისკენ" შებრუნდა და ხალხს აღტაცების მსუბუქი ოხვრა აღმოხდა: თქვენ და თქვენი მეუღლე ხელიხელჩაკიდებული მორბოდით ზღვისკენ... როგორ შვენოდით ერთმანეთს, როგორ ციმციმებდით. თვით ფიდიასიც კი, მგონია, უფრო მშვენიერს ვერაფერს შექმნიდა.

ასი წელი რომ ვიცოცხლო, ბავშვობის ის ორი მშვენიერი წამი მეხსიერებიდან არ ამოიშლება. მერე მარტო მე ხომ არ ვიყავი იმ უშველებელ სანაპიროზე? ახლა ქეთო, ახლა დულიტლი, ახლა კლეოპატრა, ახლა თქვენი სხივმფენი, გადამდები სიკეთე და სასარგებლო სისადავე?! ნაღდი ლექსით წვა, თქვენი ზნეობრივი სისპეტაკე და მოქალაქეობრივი შემართება!

გმადლობთ, ძვირფასო იუბილარო, რომ თქვენი არსებობით ცხოვრებას გვიმშვენიერებთ. იყავით მუდამ ასეთი. გფარავდეთ ღმერთი.

გულწრფელად თქვენი ნარგიზა მგელაძე


მედეა ჯაფარიძე


მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

გარეკანის პირველ გვერდზე — პიანისტი ელისო ბოლქვაძე და ბერძენი მეცენატი კოსტა კონსტანტინიდი;
მეოთხეზე — გერმანელი მოდელიორების 1992 წლის კოლექცია.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", მ. კოსტავას ქ. 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სიყმაწვილის მოთხრობები

თამაზ ბიბილური

რას წარმოადგენს ის სამყარო, ურომლისოდაც ჩვენი ყმაწვილები ნამდვილ ქართველებად ვერ ჩამოყალიბდებიან? საიდან იღებს სათავეს, რატომ არის აუცილებელი ჩვენთვის და შვილთაშვილებისათვის?

ეს ჯადოსნური სამყაროა. სამყარო სამშობლოს სიყვარულისა, რაინდობისა და სათნოებისა; და ბედნიერია ერი, თუ ყოველივე ამაზე ზრდის თავის ყმაწვილებს, თუ ადრიდანვე აზიარებს იმას, რაც კაცად აქცევთ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ადამიანი და ამდენად — ცივილიზებული ერი.

რაოდენ გვჭირდება ეს პატარა, დახვეწილი და დილის ცვარივით გამჭვირვალე მოთხრობები, მათი მორალი, სათქმელი და ის თბილი განწყობილება, რომელიც გვაკეთილშობილებს, რომელთაც იმ გზაზე მივყავართ, ადამიანური ცხოვრება რომ ჰქვია.

აბა მივიხედ-მოვიხედოთ, ამ გაუხეშებულ და აღრეულ წუთისოფელში, თითქოს დრო აღარ დარჩა სიკეთეზე საუბრისა. ჩვენი ბავშვები მოწყდნენ მიწას, გაწყდა ის ძაფები, რაც ფესვებთან აკავშირებდათ, დილიდან საღამომდე, ვიდეომაგნიტოფონებს მიჯაჭულნი, ნთქავენ ყველაფერს, რასაც ბიზნესზე გადასული უცხოური (ჯერჯერობით უცხოური) კინემატოგრაფი სთავაზობთ. მათ გონებასა და გრძნობას აღაგზნებს განუწყვეტელი სრბოლა, დევნა, ძალის თუ მოძალადეობის კულტი და... სექსი. ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას. ჩვენმა ყმაწვილებმა გაცილებით მეტი იციან ამ ტაბუდადებულ სფეროში, ვიდრე ჩვენმა მოწიფულმა წინაპრებმა იცოდნენ.

კარგია ეს თუ ცუდი?

კარგია თუ გონივრულობას ემყარება. ცუდია, როცა ნებაზე მიშვებული განურჩევლად თარეშობს. განურჩეველი თარეში კი აშკარად იგრძნობა. წარსულის ფესვებს, რაინდობას, კეთილშობილებას და ბუნების სიდიადეს მოწყვეტილი თაობა ღირებულს ვერაფერს შექმნის, ის საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, მისთვის უცხო იქნება მოყვასის სიყვარული, მეგობრობა, გამტანობა, ყოველივე ის, რაც ადამიანად გვაქცევს და ამდენად, ყველაზე უარესი: უსამშობლობაა...

დიახ, სკოლაში თითქოს ასწავლიან ყოველივე ამას, მაგრამ სწავლება „სწავლებას“ არ ცილდება, სულსა და გულს არ ეკარება, ბუნებისაგან მომადლებულს არ უტოლდება.

„სამშობლოს არვის წავართმევთ
ჩვენს — ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.“

მხოლოდ სიტყვებია, რომლის მიღმაც სიცარიელე თუ იგულისხმება, გამარტივება იმ დიადი გრძნობისა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. „აბა, ახლა კახა წაიკითხავს ლექსს“... და ლექსი იკითხება სხაპასხუპით, გაუაზრებლად, იმ ამაღლებული შინაარსის უცოდნელად და გაუთავისებლად, რისთვისაც წინაპარმა შექმნა.

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ ძირებს, იმ მიწას, რომელზედაც თაობები იზრდებოდნენ. ჩვენმა ბავშვებმა უნდა შეიგრძნონ სიდიადე რაინდობისა, რასაც „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ გვთავაზობს და რასაც ილია ჭავჭავაძემ დიდებული დასაწყისი წაუმძღვარა.

ახალი წლის ღამეა. მთელი ოჯახი ფუსფუსებს, მეორე დღისთვის ემზადება. იქით ნუში და ნიგოზი, აქეთ უცეცხლო თაფლი; მოლოდინი რაღაც უჩვეულოსი, რომელიც მხოლოდ წელიწადში ერთხელ დგება. წვრილფეხობა მშობლებს ფეხქვეშ ედება. დედა ჯავრობს: ერთი თავიდან მომაშორე ღვთის გულისათვის ეს ბაჯაჯღანები, გაასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნებ დაეძინოთ და მომასვენონო.

და მამა. დარბაისელი ოჯახის კაცი, იწყებს ნამდვილ ამბავს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილზე, რომელმაც თავისი გმირობით და რაინდობით მტერიც კი მოხიბლა.

საქართველოს ყიზილბაშები შემოსევიან. გაცხარებულა ბრძოლა. მტერი გამომწვევად იქცეოდა, თითქოს ჯირითშია და არა ომშიო, კაცად აღარავის აგდებდა... მაშინ ერთ მოხერხებულ ყმაწვილს ცხენზე ქუსლი უკრავს, მაგრამ ყიზილბაშს შიგ გულში უკრავს შუბი.

ახლა სხვა ყმაწვილი გამოჩენილა, ქუდიც არ ჰხურებია, დედის ძუძუც არ შემრგებია თუ მაგის სისხლი შეგარჩინოო. ისიც დამარცხებულა. გასულა მესამე, გასულა მეოთხე, გასულა მეხუთე და ყველას ტრაგიკული ბედი სწვევია.

— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილო! ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილო! — ატეხილა ძახილი ქართველთა შორის. გოსტაშაბიშვილი სახელოვანი ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ახლა სიბერე მორეოდა, უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი.

მაინც ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და თვალის დახამხამებაში ქართველი და ყიზილბაში ვაჟკაცები ერთმანეთს ეცნენ. გოსტაშაბიშვილმა ერთი-ორი ღონივრად შეჰბერტყა და მტერი ძირს დასცა.

მერე კი რაც მოხდა, მხოლოდ ვაჟკაცს შეჰფეროდა. ჩამოხტა ცხენიდან, ააყენა ყიზილბაში და უთხრა: ნუ გეშინია, მე თავს არ მოგჭრი, შენი თავი შენი ვაჟკაცობისათვის მიპატიებია, ცოდვაა შენი გაფუჭება, წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

აი, მეორე მოთხრობა, ისიც საშობაო, მაგრამ თავშესაქცევი, ზღაპრივით მხიარული და მთის წყაროსავით ჩუხჩუხა. ქალაქიდან ძია ესტატემ სათაგური ჩამოიტანა („სათაგური“). ოჯახი აღტაცებული შეხვდა ამ დიდ რამ განძს და სათაგური განჯინაში დადგა, სადაც მოიძევებოდა ყოველგვარი ნუგბარი: თხილი თუ კაკალი... თაგვებს მეტი რა უნდათ და მთელი ლაშქარი, ფიცხელას თამადობით გარს შემოეხვია. დიდი ჩოჩქოლი ატყდა სათაგვეთის სამეფოში. მთელი გუნდი დაიძრა თაგვებისა ამბის გასაგებად. ყველას აღტკინება მოედო ამ ეშმაკის მანქანაზე წამოცმული ნიგვზის ლებანისა, მაგრამ ყველა შეშინდა. მაშინ ფიცხელამ გამოიდო თავი. მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი. უცებ სათაგური დასხლტა და ჩხაკანი მოიღო. ფიცხელა გაება!

მერე მოხდა, რაც მოხდა:

თაგვები ჯერ გაიქც-გამოიქცნენ და ბოლოს, მაინც გაბედეს ეხსნათ მოძმე.

ვერ იხსნეს!

და აი, ესტატეს ოჯახს საშობაო ლხინი აქვს. განჯინიდან რაღაც ხმაური მოისმა. ეფემიამ განჯინა მარდად გააღო, სათაგურს ხელი წაატანა და მთლიანი აკიდო თაგვებისა (მოძმის საშველად ჩართული) თან გადმოჰყვა. „ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა დააქცევინა და ამანაც „ჰოი, შე წყეულოვო“, მიაყოლა თანა. კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე. ცქმუნა კაპიტან მიხეილს მიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისაკენ წაიღო მტრის მოსაგერიებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შეახტა?! ფხორა მამასახლისს წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალპირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულ ძვლებს...“ მოთხრობის აპოთეოზი კი თაგვების თავდადებისა ამაღლებულია: „მე, როგორც თამადა — ამბობს ძია ესტატე — ვათავისუფლებ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და ეგ თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია“.

არ გვინდა ამგვარი მოთხრობები?

არ შთააგონებს ჩვენს ყმაწვილებს იმას, რითაც ადამიანი იცნობა?

სოლიდარობა ყოველი სულიერისადმი და უფრო მეტად — ვაჟკაცობისადმი.

ვაქციოთ იგი მხოლოდ ლიტერატურის კუთვნილებად?

ეს უდიდესი დანაშაული იქნებოდა ყმაწვილების წინაშე, ამას არ მოგვიტევებდა გამოფხიზლებული ეპოქა და მე მჯერა, რომ ოდესმე ნამდვილად გამოვფხიზლდებით.

ქართული საყმაწვილო ლიტერატურა ბუნების შვილია. ბუნება მისი მთავარი გმირია. ის ქმნის განწყობილებას და შთაგვაგონებს, რომ ამ ბუნების შვილნი ვართ, მის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ, როგორც ვერ



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

200 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცხოვრებს მშობელი დედა შვილის გარეშე. ვაჟა-ფშაველას სამყაროში შესვლა სულის შემძვრელი, ბედნიერების მომტანი მოგზაურობაა, რომელიც სიმშვიდეს გვგვრის, თვალს გვიხელს, თუ რა არის სილამაზე. ეს ბუნება ცოცხალია. აქ მთის წყარო თავის ხმაზე მორაკრაკებს და საკუთარ სათქმელს შემოგჩივის, იქით ფრინველები მოსთქვამენ რაღაცას. მთანი კი, დადუმებულნი და თითქოს მიუწვდომელნი, მეფესავით გადმოგვცქერიან უტყვად, მთელი სიდიადით, რამაც ათქმევინა ვაჟა-ფშაველას: რატომ არ მღერით მთებო, ნეტავი ისე არ მომკლა, თქვენი სიმღერა გამაგონაო. მთის სიდიადე და გულჩახვეულობა მკაცრი მშობლის თვისებაა, რომელიც მზადაა ყველაფერი გაიღოს, მაგრამ ზედმეტ გულჩვილობას თავს არიდებს. ეს, მისი შვილები არიან, დაუოკებელი სიხალისით აღსავსენი. ეს მთის წყაროა, ეს ფესვებია, ეს ხმელი წიფლის მოგონებებია წარსულ სიჭაბუკეზე. სიხალისე და სევდა აქ ერთმანეთში გადაწნულა, როგორც ცხოვრებაში და სევდის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ადამიანი. სევდა დაგვაფიქრებს წუთისოფელზე, გვაპოვნინებს ჭეშმარიტებას. სევდა ღრმაა და ჭეშმარიტებაც ამ სიღრმეშია დაუნჯებული.

ამგვარ ჭეშმარიტებაზე იზრდებოდნენ ჩვენი ყმაწვილები. ისინი ადამიანის სიყვარულს სწავლობდნენ. „მოწყალება ობლებს!“ ამ სიტყვებით მთავრდება ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკური“. მოწყალება ობლებს თითქოს დევიზია ჩვენი ძველი მოთხრობებისა და ის მხოლოდ ობლებს როდი გულისხმობს, ადამიანურ მოწყალებაზე, მოყვასისაკენ სიკეთის ხელის გაწვდაზეა ლაპარაკი. ონავარმა ბიჭებმა მოხუცი ყაყიტას („ყაყიტას ქურდები“) ბაღჩა გააჩანაგეს. ღამის ნათელ შუქზე წამოდგა ყაყიტას აჩრდილი და ბიჭების წინაშე სათნოებით წარმოსდგა. მოხდა მოსახდენი: ბიჭებს ყაყიტას სევდამ, იმ მთვარიანმა ღამემ, ნათლით შემოსილმა თმა-წვერმა ერთბაშად გაუღვიძა სიბრალული ადამიანისა, რომელსაც წლიური ნაამაგარიც ლამის წყალში ჩაუყარეს და ჩვენც ამ ყმაწვილებთან ერთად ცრემლები მოგვჯერევა. ჩვენც ორივე მხარესა ვართ — მორიდებულ, ნაწყენ ყაყიტასკენ და იმ ყმაწვილებისკენ, რომელთაც სხვის ნაამაგარზე ხელი წაუცდათ.

ახლა „ღვინია გადაიჩეხას“ ამბავი გავიხსენოთ, რა სასოებით ელის ღარიბ-ღატაკი გლეხის ოჯახი იმ შემის საფასურს, ოჯახის მამას რომ გაყინულ ქალაქში წაუღია. ქალაქის განურჩევლობამ და სისასტიკემ დააბნია ბერიკაცი, ხოლო ღვინია, ოჯახის მარჩენალი, მოლიპულ გზაზე განერთხო, რათა ამიერიდან ველარ მოიტანოს შინ შემა, ველარ წაიღოს ქალაქში გროშის ფასად და მშიერ-მწყურვალი დატოვოს ჯალაბი.

დაბოლოს შვლის ნუკრი... ცხოველთა სამყაროს სიყვარული ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. ის ალამაზებს გარემოს, ის შთაგვაგონებს თანაალმობას, ის გვარწმუნებს, რომ ამ დედამიწაზე ცალად არა ვართ, რომ დედამიწა მრავალფეროვანია. მრავალმოსახლე [illegible] ერთმანეთის გარეშე არ გაგვეძლება. და რა გულდასაწყვეტია, თუ ჩვენი ცხოვრების ამ განუყოფელ ნაწილს, ჩვენივე უგუნურობით ზოგჯერ მოვიკვეთავთ და თვადაც არ ვუწყით, როგორ გავიღარიბეთ თავი, რა დიდი რამ დავიკელით. „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ვაჟა-ფშაველასი, სწორედ რომ ავტორის სიდიადეს შეჰფერის. შეუძლებელია დაივიწყება ამ პატარა ნუკრისა, რომელიც დაობლდა და სულ უმწეო დარჩა: ტანზე ქათიბი აცვია, პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის ოვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი, ჯერ რქები და კბილებიც არ ამოსვლია, ჯერ ჩლიქებიც არ გამაგრებია.

შეძრწუნებული თვალებით და თანაც ცნობისწადილით შემოსცქერის ნუკრი მისთვის იდუმალ, ვრცელ სამყაროს, რომელიც, ვინ იცის, რას უმზადებს. აგონდება დედა. აგონდება მისი სიკვდილი, როცა კაცის ტყვიით განიგმირა, როცა არავინ იფიქრა ამ უმწეო ნუკრზე და ტყის ანაბარა მიატოვა.

მოკვდა დედა. დატოვა უძირო სევდა ნუკრისა, რომელმაც არ იცის საით წავიდეს, ვის ენდოს, რომელსაც აშინებს ყველაფერი და რომელსაც შეიძლება იგივე ბედი ეწიოს, რაც დედამისს. უპატრონოა, სულ ეშინია, სულ კანკალებს, მუდამჟამ სიკვდილს ელის. გზაარეული დაეხეტება.

„ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!“

ეს ამოოხვრა ნუკრისა გვაფრთხილებს, რომ მტრად არ გადავიქცეთ, რომ ნუკრიც ღვთის შვილია და დედამიწაზე სიცოცხლისათვის მოვიდა, რომ ეს სიცოცხლე მასაც არსთა გამრიგემ ჩაუწერა. მანამდე კი გონებიდან არ გვშორდება ნუკრის ჩივილი: „მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ, ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში: დავდივარ და შევტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არ ჩნდება, დედაჩემს ველარა ვხედავ, ვარ ობოლი, ვინ იცის ვინ დამეპატრონება. ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებსა“.

ნუ შევიღებავთ ნუკრის სისხლით ხელებს! — ამგვარია ამ მოთხრობის მორალი. ეს დიდი მორალია, რომელიც ნაყოფია ადამიანის გამოცდილებისა, სილამაზის შეგრძნებისა, ნაწილია მთელი საკაცობრიო მორალისა და საუკუნეობრივი ცივილიზაციისა.

განა შეიძლება შვლის ნუკრის გარეშე ნამდვილი ქართველის აღზრდა! რა ღარიბი და რეგვენი იქნებოდა ამგვარი ქართველი! გამოვტყდეთ, რეგვენი უკვე ბლომადა გვყავს, დროა შვლის ნუკრს ვუხმოთ და ჩვენს ყმაწვილებს ცხოვრება გავულამაზოთ. უამისოდ ძალზე გაგვიჭირდება, უამისოდ საკუთარი მიჯნის იქით ვერ გავიხედავთ და ისიც უპატრონობით გაგვიუქმდება, რაც საუკუნეთა მანძილზე მოგვიპოვებია.

## სასარგებლო რჩევები

### თუ უძილობა გაწუხებთ

სპეციალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ძილის დარღვევა ნერვოზის ერთ-ერთი სიმპტომი ან მისი მომასწავებელი ნიშანია. უძილობის მიზეზი შეიძლება იყოს სექსუალური მოშლილობა, გადაღლილობა, ნერვულობა ან უარყოფითი ემოციებით გადატვირთული მდგომარეობა. ყველა შემთხვევაში საჭიროა მივმართოთ ფსიქოთერაპევტს.

თუმცა უძილობის მედიკამენტოზური მკურნალობის გარდა არსებობს ზოგადი რჩევები, რომლებიც ხშირად ძილის აღდგენისა და ნერვული სისტემის გაჯანსაღების საშუალებას იძლევა.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ოთახი, რომელშიც გძინავთ, კარგად უნდა გაანიავოთ. უმჯობესია ღამით ღია დატოვოთ სარკმელი ან ფანჯარა, რომლებზეც ფარდა იქნება ჩამოშვებული. ლოგინი უნდა იყოს ზომიერად რბილი. სჯობს სასთუმალი ჩრდილოეთით გქონდეთ. ზოგი სპეციალისტი გვირჩევს მუქ რუხ თეთრეულს.

თუ გაკანკალებთ, ჩაიცვით შალის ან თბილი, ფანელის სალამური, თუ ფეხი გეყინებათ, თბილი წინდები ამოიცვით. ოთახში არ უნდა იყოს მშრალი ჰაერი.

კარგია ძილის წინ ნახევარი — ერთი საათით გასეირნება, ან 15-20 წუთის აივანზე დგომა. თბილი შხაპის ან აბაზანის მიღება.

ვახშამი დაამთავრეთ დაძინებამდე 3-4 საათით ადრე, მაგრამ თუ მიჩვეული ხართ უშუალოდ ძილის წინ ჭამას, მაშინ უმჯობესია დალიოთ ერთი ჭიქა თბილი რძე თხელი ნაჭერი შავი პურით.

მე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეგახსენეთ ჩვენი სიყმაწვილის მოთხრობებიდან. სხვისი არ ვიცი და მე ეს მოთხრობები დღესაც იმგვარ გრძნობას მგვრის, როგორც ოდესღაც, როცა ბავშვი ვიყავი. ვერ გეტყვით განსაკუთრებული ვიყავი-მეთქი. ჩემისთანები ალბათ ბევრნი იყვნენ და სწორედ ამით ვგრძნობდით თავს ძლიერად. ეს ჩვენი ფესვებია, რომელზეც წამოვიზარდეთ, რათა ცხოვრების ფართო შარაზე გამოვსულიყავით. გაგვიმართლა თუ არა, ეს თავად ცხოვრებამ გვიჩვენოს. ერთი კი მჯერა: შვლის ნუკრის ცრემლი და უბედური ქორბუდას მყვირალობა, მაგდანას ლურჯას ჰოვნის სიხარული კეთილ საგზლად გაგვყვებოდა და ამიტომ, უკვალოდ არ ჩაივლიდა.

ეგზიუპერი ამბობს: საიდან მოვდივარ? ჩემი ბავშვობიდანო...

დროდადრო დავუბრუნდეთ ამ ბავშვობას, განვიწმინდოთ სპეტაკი ბავშვური სულით.

ეს მეტად წარმტაცი, ულამაზესი სამყაროა. ეს სილამაზე გამჭვირვალეს ხდის ჩვენს მისწრაფებებს, აზროვნებას და სულს.

მე რომ მკითხონ, დღევანდელი მორალური ქაოსის ერთ-ერთი მიზეზი რა არისო, უყოყმანოდ ვიტყოდი: დაბალი სულიერი კულტურა. ჩვენ დავივიწყეთ ყველაფერი, რაც საამაყო გვქონდა. დავიწყებით კი დავივიწყეთ, მაგრამ მაინც ვამაყობთ. ქართული დამწერლობის უძველესობით ვიწონებთ თავს ისე, რომ ოდნავადაც არ ვიცნობთ მის ფესვებს. „ვეფხისტყაოსანს“ ვადიდებთ ისე, რომ ხეირიანად წაკითხულიც არა გვაქვს. ილია ჭავჭავაძეს თითქმის ცხოვრების ყველა „წყევლა-კრულვიან“ საკითხზე აქვს გაცემული პასუხი და ამაზე წარმოდგენა არა გვაქვს. კულტურა მთლიანად მოიშალა. ოჯახებში ყველაფერზეა საუბარი, გარდა ამაღლებული ადამიანური იდეალებისა: მამა ვიღაცას ემუქრება, დედა ვიღაცას სწყევლის, უფროსი ვაჟი გასისხლიანებული ბრუნდება შინ, არ ვუწყით ვის და რატომ გაუსწორა ანგარიში, ჯილდოდ კი ორასი ათას მანეთად ღირებული მანქანით ვასაჩუქრებთ. ქალიშვილი, ღმერთმა იცის, სად და ვისთან დადის.

ყოველივე ეს ხდება ყმაწვილის თვალწინ და ყმაწვილს ყველაფერი, რასაც ხედავს, ცხოვრების ნორმა ჰგონია. გახსოვთ წლების წინ ერთ-ერთ სკოლაში მოწყობილი გამოკითხვა? შედეგი იმდენად შემზარავი იყო, დღესაც მეხსიერებიდან არ ამოდის. გამოკითხულ უფროსკლასელთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა ვინ იყო რუსთაველი ან რომელ საუკუნეში ცხოვრობდა. თავის მისაბაძ კერპად ცნობილ ქურდს ასახელებდა. ხომ არ გგონიათ ეს კურიოზული შემთხვევა იყო და წარსულს ჩაბარდა? თქვენც არ მომიკვდეთ! გადახედეთ ნაწერებს თვით ფილოლოგიის ფაკულტეტის აბიტურიენტებისა და ისეთ რამეებს ამოიკითხავთ, მთელი უძველესი წარსული ცივილიზაცია და თანამედროვეობის მონაპოვარი წყალში უიმედოდ გადაყრილი მოგეჩვენებათ.

როგორ შეიძლება ამგვარ გარემოში აღზრდილმა, გულთან მიიტანოს შვლის ნუკრის სევდა, თუნდაც წამით დაღონდეს უბედური ქორბუდას მარტოსულობაზე.

და მე მინდა ვთქვა: დავიბრუნოთ კულტურა!

ხსნა სილამაზეში ვეძიოთ და ჩვენს თვალწინ დიდებული სამყარო გადაიშლება. სილამაზე დაგვეხმარება იმ ერთადერთი გზის მოძებნაში, რომელიც ყოფნა-არყოფნის დილემიდან გამოგვიყვანს.

ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე კი ვდგევართ...

აი, რა ფიქრები აღმიძრა ისეთმა უბრალო, მაგრამ კეთილშობილებით გახსივოსნებულმა მოთხრობამ, როგორიცაა „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

დიდ ფილოსოფოს პლატონს აქვს ამგვარი ნათქვამი: ლამაზი საგნებიდან წარმოიშობა ლამაზი აზრები, ლამაზი აზრები ქმნიან ლამაზ ცხოვრებას, ლამაზი ცხოვრებიდან აბსოლუტურ სილამაზეს ვეზიარებით.

ხოლო დოსტოევსკი ამტკიცებდა, რომ სილამაზე იხსნის კაცობრიობას.

დავიბრუნოთ სილამაზე... მთავარია იგი დავანახოთ და შევაგრძნობინოთ ყმაწვილს.

მახსოვს, სიჭაბუკისას, ერთ ჩემს თანატოლთან ერთად ტყისკენ გავწიე. შემაღლებულზე ავედით თუ არა, ჩემს თვალწინ უსაზღვრო, იისფერ ნისლში ჩაძირული ალაზნის ველი გადაიშალა. და მე ბიჭს, რომელიც სულაც არ უცქერდა აქაურობას პირველად, ვუთხარი:

— ნახე, რა სილამაზეა.

ბიჭს თვალი გაუშტერდა. თითქოს ახლადა დაინახა მთელი სამყარო, გაოცებულმა თქვა:

— მართლა რა სილამაზეა!

და მე მჯერა, რომ ამიერიდან ის ბიჭი კვლავ მაშინდელი საოცარი შთაბეჭდილებით ცხოვრობს. რომ ეს დიდებული სურათი სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში, რომ ამ სილამაზის შეგრძნება მასში უკვალოდ არ ჩავლილა.

ჩვენ მივდივართ, მაგრამ სინამდვილე რჩება, უფრო სწორად — გრძელდება. ის კლასიკური ლიტერატურაც. რომლის ორგანული ნაწილია ჩვენი სიყმაწვილის მოთხრობები, რჩება, რათა ახალი თაობები აღზარდოს. თუ ჩვენს ყმაწვილებს ამ ლიტერატურის გარეშე დავტოვებთ, იმდენად გავაღარიბებთ მათ სულს, რომ შეიძლება დიდი გულისტკივილითაც ვთქვათ. ამაოდ იცხოვრეს...

არ არის საჭირო ძილის წინ უარყოფითი ინფორმაციით გადატვირთვა, არც ნერვული სისტემის აღგზნება სხვადასხვა გადაცემებით და ლიტერატურით.

ეცადეთ დღის პრობლემების განსჯა დაამთავროთ დაძინებამდე 2 საათით ადრე.

ეცადეთ ძილის წინ სასიამოვნო საგანზე იფიქროთ.

## თუ ადამიანს გული წაუვიდა

პიკის საათში, გადაჭედილ ტრანსპორტსა და მეტროში საშინელი დახუთულობა და სივიწროვეა. ასეთ პირობებში ახალგაზრდა, სრულიად ჯანსაღ ადამიანსაც შეიძლება გული წაუვიდეს. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში და როგორ აღმოვუჩინოთ ადამიანს პირველადი დახმარება ექიმის მოსვლამდე?

1. ადამიანი დასვით სკამზე ან უკიდურეს შემთხვევაში იატაკზე და შეუხსენით საყელო.

2. ნეკა თითზე ქვევიდან ზევით და პირიქით გაუკეთეთ მასაჟი ძლიერი მოძრაობებით. ამის შემდეგ ასეთივე მკვეთრი, ძლიერი მოძრაობით დაუზილეთ ცერა თითი.

3. სამი შეტყუპებული თითით მარცხენა ხელისგულზე ჩაუტარეთ რამდენიმე წრიული მოძრაობა ცერა თითის გასწვრივ.

4. რამდენჯერმე ძლიერად დაუზილეთ ყურის ბიბილოები.

5. ამის შემდეგ, როგორც წესი, ადამიანი გონს მოდის. ავადმყოფი შეძლებისდაგვარად სწრაფად გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. ექიმის მოსვლამდე შეგიძლიათ შეასრულოთ შემდეგი მოძრაობები:

1. დაუზილეთ ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ხელის შუათითი ქვევიდან ზევით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თითის წვერებს. მოძრაობები უნდა იყოს უფრო მსუბუქი და ნაზი.

2. წრიული მოძრაობით მიუსვ-მოუსვით თითები ხელისგულებზე.

3. რამდენჯერმე დაუზილეთ თითის წვერები.

## ახალი ცოცხი კარგად ჰგვის...

თუ გსურთ ცოცხი გაცილებით მეტ ხანს გემსახუროთ, ხმარებამდე რამდენიმე ხნით გააჩერეთ ცხელ მარილიან წყალში.

* * *

მელქიორის ნივთებზე სიშავის მოსაშორებლად და ბზინვარების მისაცემად, ჩაუშვით ისინი კვერცხის ნახარშ წყალში.

* * *

მანიკურს ბევრი ქალი იკეთებს, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის ლაქის შენახვის საიდუმლო. ფლაკონში რამდენჯერმე უნდა ჩავბეროთ და შემდეგ დავახუროთ თავი. ამოსუნთქული ნახშირორჟანგი გამოაძევებს დაგროვილ ჰაერს და ლაქი დიდხანს არ გაშრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოჯახი: პრობლემა, განსჯა, პოზიცია

# სასიკვდილო განაჩენი

## ქმრის ვერსია

ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო... ერთხელ, სახლში დაბრუნებულს მაგიდაზე წერილი დამხვდა: „მე და მამაშენი პრემიერაზე მივდივართ. დაგვაგვიანდება. სადილი გააცხელე და კარგად ჭამე. დედაშენი.

— ახალი ამბავი, — გაბრაზებულმა წერილი მოვისროლე და სამზარეულოში გავედი.

ქვაბში ჩავიხედე. ისევ ლობიო. გამაგიჟებს ეს ქალი. მაცივრის კარი გამოვაღე — კვერცხი, კვერცხი და... კვერცხი. ესეც შენი დესერტი!

ცუდ ხასიათზე დავდექი. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ტელეფონთან მივედი. გონებაში ერთადერთი ნომერი ამოტივტივდა. დიდხანს არ მიფიქრია, ისე ავკრიფე.

— გისმენთ, — მომესმა სასიამოვნო ხმა.

ნახევარი საათის შემდეგ თიკოს ოთახში ვიჯექი.

— გშია?

— ძალიან.

— ისეთი გემრიელი ლობიო გვაქვს.

— ეგ არ გეთქვა და...

— რატომ? — გაუკვირდა.

— კვირაში შვიდჯერ ლობიო გვაქვს სადილად.

გულიანად გაეცინა.

— რახან ასეა, ხვალ სადილად გეპატიჟები.

იმ დღის შემდეგ ჩვეულებად მექცა თიკოსთან შეხვედრა. ხანდახან მის ნახვას თუ ვერ მოვახერხებდი, გაბუტული მხვდებოდა. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ერთ დღესაც ვერ გავძლებდი უმისოდ. ერთხელ სახლში დედაჩემის წერილი დამხვდა:

„ვერ გავიგე, რას ჭამ".

იქვე მივაწერე: „ვბალახობ" და თიკოსთან წავედი.

იმ დღეს სახლში გვიან დავბრუნდი. დედაჩემი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ჩემს დანახვაზე ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა.

— დღეს არ არის სადმე პრემიერა? — ვკითხე მე.

— სად დადიხარ?

— როგორც იქნა გაგახსენდა, შვილი რომ გყავს და დედის ყურადღება ჭირდება?

— მითხრეს ამ ბოლო დროს ვიღაც გოგონასთან დადისო...

— ჰოო? კიდევ რაო, რა გითხრეს?

— მაგ გოგოს ოჯახზე ამბობენ, რომ... ერთი სიტყვით, სანამ ცოცხალი ვარ, ამ სახლში ფეხს ვერ შემოადგამს. იცოდე, თავს მოვიკლავ.

ყურადღება არ მიმიქცევია მისი სიტყვებისათვის. კარგად ვიცნობ — შეყვარებულია საკუთარ თავზე. დიდხანს არაფერზე დარდობს, სახეზე ზედმეტი ნაოჭი რომ არ გაუჩნდეს. ამგვარად ოჯახური ტრაგედია გამორიცხული იყო.

ერთი თვის შემდეგ მე და თიკომ ვიქორწინეთ. დედაჩემს, მართალია, თავი არ მოუკლავს, მაგრამ კარგა ხანი მის სახეზე ღიმილი არ მინახავს.

თავდაპირველად ყველაფერი ნორმალურად აეწყო. დედაჩემსაც მოულბა გული, რამდენიმე ფვეში შვილს ველოდით.

— იცი, რა გენიალური მამა ვიქნები?

— დარწმუნებული ვარ. გენიალური ჩერჩეტი მამა, — გაეცინა თიკოს.

— თიკო, დღეს ისეთი ბედნიერი ვარ. მაინც ვერ გამაბრაზებ. ასე რომ, შენ ის მითხარი, რა დავარქვათ ბავშვს.

— ის არ გაინტერესებს, გოგო იქნება თუ ბიჭი?

— მაგას რა კითხვა უნდა? ჩემი შვილი, რა თქმა უნდა, ვაჟკაცი იქნება.

ჩვენი ცხოვრება ლამაზი რომანის წაკითხული გვერდებივით იფურცლებოდა.

ერთ დღეს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. დედაჩემი ტელეფონზე ლაპარაკობდა:

— ვერ გავიგე რა უნდოდა: შესანიშნავი ქმარი ჰყავდა, ყველა ხელის გულზე ისვამდა. თურმე ჩუმად სხვას ჰყვარობდა. მე მგონი ბავშვიც საყვარლისგან ჰყავს...

იმ დღიდან უცნაური შიში ჩამისახლდა სხეულში. მღრღნიდა, მოსვენებას მიკარგავდა. თიკოს დაჟინებით ვაკვირდებოდი. ვაი თუ, მღალატობს, ვაი თუ ბავშვიც... ტვინს მიხვრეტდა ამაზე ფიქრი.

უკვე ყველაფერს სხვა თვალით ვუყურებდი.

ერთხელ მეგობრის დაბადების დღეზე მივდიოდით. თიკომ ცისფერი კაბა ჩაიცვა. ვერც იფიქრებდით, ფეხმძიმედ თუ იყო. კაბა ტანზე კოხტად შემოტმასნოდა. თმები ჩამოეშალა, თვალი ვერ მოვაშორე, იმდენად მშვენიერი იყო. ვცდილობდი, არ შეემჩნია ჩემი დაჟინებული მზერა. ქალს რას გამოაპარებ!.. შემომხედა და გამიღიმა. ერთ დროს თავგზას მიბნევდა მისი ღიმილი, მაგრამ დღესაც ვერ ამიხსნია, მაშინ რა დამემართა. „ვისთვის ირთვება. ვის უნდა თავი მოაწონოს"? გამიელვა უცებ და უხეშად ვკითხე:

— შენ რა, ამ კაბით აპირებ წამოსვლას?

თიკომ გაოცებით შემომხედა.

— სხვა რაიმე ჩაიცვი, თუ არადა სახლში იჯექი.

თიკოს თვალებზე ცრემლები მოადგა. დათმობა არჩია, კაბის ღილების შეხსნა დაიწყო, თუმცა მალე შეცვალა გადაწყვეტილება და ცივად მითხრა:

— ადრე ძალიან მოგწონდა ეს კაბა...

კამათი სერიოზული ჩხუბით დამთავრდა. საწოლზე დამხობილი თიკო უხმოდ ტიროდა. ველარ გავძელი და ოთახიდან გავედი. დედაჩემი ტელევიზორს უყურებდა.

— არა უშავს, შერიგდებით. მაგრამ ერთი რამ მუდამ გახსოვდეს, რომ კაცი ხარ და შენს სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს.

დედაჩემის სიტყვებს თავი შევაფარე. გულს ვიმშვიდებდი, რომ სწორად მოვიქეცი, თუმცა ვგრძნობდი. უსაშველოდ დამნაშავე ვიყა-

ვი თიკოს წინაშე.

დაბადების დღეზე არც მე წავსულვარ. მინ. დოდა ოთახში შევხულიყავი, თიკოსთვის ცრემლიანი თვალები დამეკოცნა, პატიება მეთხოვა, მაგრამ რაღაც მაკავებდა, არ მიშვებდა.

თიკო მიმიხვდა, რაც მტანჯავდა. ამჯერად სულგრძელად დამითმო. სამსახურიდან სახლში გამორბოდა. მე თუ არ მეცალა, სახლიდან ფეხს არ ადგამდა. მარტო დედამისთანაც არ მიდიოდა.

ცოტათი დავმშვიდდი, მაგრამ... მაგრამ.., ხანდახან ასე მგონია, ქვეყნად რაც კი უბედურება ტრიალებს, ყველაფერი ამ სიტყვიდან მომდინარეობს.

ერთხელ დიდი ხნის უნახავი მეგობარი მესტუმრა. გულით გამიხარდა მისი დანახვა. თიკოს სუფრა გავაშლევინე. ერთი-ორი ჭიქის შემდეგ დედაჩემმა სამზარეულოში მიხმო. ოთახში რომ დავბრუნდი, თიკო და დათო გულიანად იცინოდნენ. „მე დამცინიან“, — გამკრა გულში.

— რაზე იცინით?

თიკოს ღიმილი უცებ გაუქრა სახეზე.

— რაღაცას ვუყვებოდი, — მიპასუხა დათომ.

— აჰ, რაღაცას არა? საიდუმლოა?

— შენთან დასამალი რა მაქვს, — შეცბა დათო, — თუ გინდა, მოგიყვები.

— დიდად დამავალებ, თუ აქედან რაც შეიძლება მალე წახვალ.

— ლევან, ხომ არ შეიშალე.

— რასაც გეუბნები, ის გააკეთე. წადი და აქ მეორეჯერ არ დაგინახო, — ვუბიძგე ხელი.

— შედი შენს ოთახში, — ახლა თიკოს მივუბრუნდი.

მაგიდასთან დავჯექი. ღვინო დავასხი და დავლიე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველა მე მატყუებდა. „ასეთი რა შევცოდე“, ვბუტბუტებდი ჩემთვის. დედაჩემმა მაგიდის ალაგება დაიწყო, ბოთლი ხელიდან გამოვგლიჯე და ღვინის სმა გავაგრძელე.

ოთახში ბარბაცით შევედი. თიკო ჩანთაში თავის ტანსაცმელს ალაგებდა. დამიჯერეთ, მართლა არ მახსოვს. რა ვუთხარი და მან რა მიპასუხა, ამას ახლა არც აქვს რაიმე მნიშვნელობა. ყველაზე საშინელება ის არის, რომ იმ წუთში იმდენად მეზიზღებოდა, შემეძლო მომეკლა. ჩემში მხეცმა გაიღვიძა და არავის შეეძლო მისი შეჩერება. თიკოს გამეტებით ვურტყამდი. ის კი თავს იცავდა, ყვიროდა, რაღაცას მევედრებოდა. ხიბრალულის ნაცვლად სიძულვილი უფრო მიმძლავრდებოდა. ოთახში დედაჩემი შემოვარდა. ხელის კვრით მოვიცილე, ოთახიდან გავაგდე და კარი ჩავკეტე. თიკო საწოლთან მიყუჟულიყო და შეშინებული ელოდა, რა მოხდებოდა.

ორი ნაბიჯით მასთან გავჩნდი. თიკომ პირჯვარი გადაიწერა და თვალები დახუჭა, ლონე უცებ გამომელია. ფეხზე ვეღარ ვდგებოდი. ოთახი დატრიალდა, ცოტაც და წავიქცეოდი. საწოლზე დავემხე და ჩამეძინა. არ ვიცი, როგორ გაათენა ის ღამე თიკომ. ორი წელი გავიდა მას შემდეგ. განელების ნაცვლად დღითი დღე მიმძაფრდება დარდი, სინანული. დროც ვერ კურნავს თურმე ყველა ჩვენს ტკივილს.

დილით ადრე გამომეღვიძა. თავი მისკდებოდა, უცებ ყველაფერი გამახსენდა და საწოლიდან წამოვვარდი. თიკო უხმოდ იჯდა და სადღაც სარკმლის მიღმა იცქირებოდა. ოთახში საათის ხმა ისმოდა მხოლოდ. უცებ მომეჩვენა, თითქოს საათიც გაჩერდა და სიჩუმემ ლამის დამაყრუა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. თიკოს მივუახლოვდი და რაც შეიძლება ფრთხილად მოვეხვიე. შეშინებულმა ამომხედა. თვალები ჩალურჯებოდა, სახე შეშუპებოდა. მხეციც არ გააკეთებდა იმას, რაც მე გავაკეთე, გავიფიქრე.

— ვიცი დამნაშავე ვარ, დამნაშავეზე მეტიც. მეჩხუბე, გამლანძღე, რაც გინდა ის მიწოდე, ოღონდ ჩუმად ნუ ხარ. გევედრები, მითხარი რამე.

სასწრაფოდ მომიშორა.

— ამ ხელმა გუშინ სასიკვდილოდ გამიმეტა, დღეს კი მოფერებას ლამობს...

ისე მაგრად ვიკრავდი გულში, თითქოს ვიღაც ხელიდან მის გამოგლეჯას ლამობდა.

თიკო იმ დღესვე წავიდა ჩემგან — უსიტყვოდ. უსაყვედუროდ.

ერთი თვის შემდეგ კი მკვდარი ბავშვი შობა... ჩემი, ჩემი ხელითვე მოკლული ბიჭი. ცოდვილი სული უფრო მეტად დამიმძიმდა.

გატყობთ, გული გატკინეთ. სიმართლე გინდოდათ და მეც გიამბეთ.

რამდენი სიგარეტი მომიწევია... მეტი რა გითხრათ, ეჭვიანობით საყვარელ ადამიანს ცხოვრება დავუმახინჯე, საკუთარ თავს კი სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანე. ვინ იცის, რამდენი ამ სენით შეპყრობილი ანგრევს საკუთარ ბედნიერებას. ამაში მეთანხმებით? — ძლივს არ გავიგონე თქვენი ხმა!..

მარინე ნაკაიძე

P. S

მკითხველო! თქვენს წინაშეა უბედური კაცის აღსარება. საშინელ ურჩხულს — ეჭვიანობას მრავალი სული მოუწამლავს, ოჯახი დაუნგრევია და გაუუბედურებია.

რა ფიქრები აღძრა თქვენში ამ აღსარებამ? თქვენც ხომ არ ხართ ამ საშინელი სენის ტყვე ან მსხვერპლი? მოგვწერეთ, გაგვიზიარეთ, სულიც შეიმსუბუქეთ და იქნებ სხვის გაჭირვებასაც შეეშველოთ!...

## საზღვარგარეთული საოჯახო ჟურნალების ფურცლებზე

### „ეს ჩემი შვილის სიყვარულით გავაკეთე“

ამბობს 42 წლის ამერიკელი ერლიტ შვეიცერი, რომელიც მალე შობს თავის... ტყუპ შვილიშვილს, ექიმებმა სინჯარაში გაანაყოფიერეს მისი ქალიშვილის კვერცხუჯრედი, რომელიც შემდეგ ერლიტის საშვილოსნოში მოათავსეს. ეს მეთოდი ახალი არ არის, (1978 წელს, ერთმა სამხრეთ აფრიკელმა ქალმა საკუთარი სამი ტყუპი შვილიშვილი გააჩინა), მაგრამ მაინც პოლემიკას იწვევს ცნობისმოყვარე ამერიკელებში. „ჩემს შვილს საშვილოსნო არა აქვს, ამბობს დედა — ბებია, ჩემს მოქმედებას კარგად გამიგებენ მშობლები, რომლებიც შეჩვეულები არიან საკუთარი ჯანმრთელობა გარისკონ შვილების გამო“.

### შობადობა იზრდება

ესპანეთში, სადაც ევროპაში იტალიის შემდეგ ყველაზე დაბალი შობადობა იყო, ბოლო ხანებში სასიკეთო ცვლილებები ხდება, — განაცხადეს ამ ქვეყანაში გამართულ უკანასკნელ დემოგრაფიულ სიმპოზიუმზე. აქვე მოიყვანეს რამდენიმე საინტერესო ციფრი: ესპანეთში უკანონო ბავშვი ყველაზე ცოტა იბადება (სულ 4,4 პროცენტი, მაშინ, როცა შვეციაში მათი რაოდენობა 48,4 პროცენტია) და ყველაზე მეტია კანონიერ ცოლ-ქმართა რიცხვი. დანიაში, მაგალითად, წყვილთა 45 პროცენტი ხელმოუწერლად და ეკლესიაში ჯვარდაუწერლად ცხოვრობს.

### ძვირად-ღირებული მენიუ

ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა, არნოლდ შვარცნეგერმა კიდევ ერთხელ გააოცა თაყვანისმცემლები. მან და მისმა მეუღლემ დაიქირავეს მზარეული, რომელმაც ჯანმრთელობისათვის სასარგებლო მენიუ უნდა შეუდგინოს მათი ერთი წლის შვილს ქეთრინს. როგორ გგონიათ, რა ღირს საბავშვო მენიუ? არც მეტი, არც ნაკლები... 1700 დოლარი კვირაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

დადგენილია, რომ ქალებს, რომლებიც თავიანთ ახალშობილებთან წვანან პალატაში, ნაკლებად ემართებათ დეპრესია.

# დეპრესია მშობიარობის შემდეგ

მშობიარობის შიში და ტკივილები უმეტეს შემთხვევაში ახალშობილის დანახვისთანავე ქრება, ყოველ შემთხვევაში, ყუჩდება მაინც. ბავშვის პირველი მოძრაობა დედას სიხარულით ავსებს. მაგრამ არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ახალგაზრდა დედას, თითქოს უმიზეზოდ, ხასიათი უფუჭდება და დეპრესია ეწყება. ექიმები ამას მშობიარობისშემდგომ დეპრესიას უწოდებენ და სამ ტიპად ყოფენ. პირველი ტიპი —მშობიარობისშემდგომი მსუბუქი დეპრესია მშობიარობის შემდეგ მესამე — მეოთხე დღეს იწყება, მეორე, შედარებით მძიმე დეპრესია — მშობიარობის შემდეგ ექვსი კვირის მანძილზე შეიძლება განვითარდეს, მესამე —მძიმე დეპრესია, რომელსაც მეტად არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, მშობიარობის შემდეგ ექვსი თვის მანძილზეა მოსალოდნელი.

მსუბუქი დეპრესია, იგივე „მესამე დღის დეპრესია" გამოიხატება ტირილით, ენერგიის დაკარგვით, ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებით, ბავშვისა და საკუთარ ჯანმრთელობაზე შიშით, უძილობით, უმადობით, პესიმიზმით, თავის ტკივილებით. მისი ხანგრძლივობა რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღეა. ამ დეპრესიის გამომწვევი მიზეზები კარგად არ არის დადგენილი. ზოგიერთი ამას ფიზიოლოგიურ ცვლილებებს აბრალებს, ზოგი ფსიქოლოგიურს და სოციალურსაც კი. აქ არც თუ მცირე როლს ასრულებს ჰორმონები. როგორც ჩანს, ქალებს, რომლებსაც მშობიარობიდან სამი-ოთხი დღის შემდეგ ნაკლები პროგესტერონი და ესტროგენები აქვს, მეტი მიდრეკილება აქვთ დეპრესიისადმი. ფსიქიატრების დაკვირვებით ამის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ნოსტალგიის გრძნობა, შიში ბავშვის ჯანმრთელობაზე და ა. შ.

შედარებით მძიმე დეპრესია დაახლოებით ერთი თვე გრძელდება. მისი დამახასიათებელი ნიშნებია უკიდურესი დაღლილობის გრძნობა, გაღიზიანება ქმრის და სხვა ბავშვების მიმართ, სპეციფიკური შიში ბავშვზე, უძილობა, სექსისადმი ინტერესის დაკარგვა და უხასიათობა. ვარაუდობენ, რომ ქალებს, რომლებიც სულიერ დისკომფორტს განიცდიდნენ ორსულობის დროს, უფრო ხშირად ემართებათ ამ ტიპის დეპრესია.

მძიმე დეპრესია მშობიარობის შემდეგ პირველ-ორ კვირაში ვლინდება, თუმცა შეიძლება მეექვსე თვემდე ნებისმიერ დროს იჩინოს თავი. პერიოდულად მას იგივე ნიშნები ახასიათებს, რაც მწვავე ფსიქოზს და ძირითადად ემართებათ ქალებს, რომლებიც მშობიარობამდე ფსიქიკურად იყვნენ ავად.

### გამომწვევი მიზეზები

რამდენიმე მიზეზთაგან უპირველეს ყოვლისა გამოყოფენ ანემიას (სისხლნაკლულობას), რაც მშობიარობის შემდეგ ორგანიზმში რკინის ნაკლებობითაა გამოწვეული, აგრეთვე იმას, რომ მშობიარობა ქალის ორგანიზმში ფიზიკური (ტკივილი, დაღლილობა) ცვლილებების გარდა ფსიქოლოგიურ ცვლილებებსაც იწვევს. ამ მიზეზებს განეკუთვნება აგრეთვე ხანგრძლივი და მძიმე მშობიარობა. ექიმის ჩარევის გარდა, აუცილებელია დედას ხშირი კონტაქტი ჰქონდეს ახალშობილთან. დადგენილია, რომ ქალებს, რომლებიც თავიანთ ახალშობილებთან წვანან პალატაში, ნაკლებად ემართებათ დეპრესია.

### მამის როლი

თუ ქალი ბუნებით არაა მშიშარა, თუ მას თავის თავის იმედი აქვს და ყოველ წუთში შიშით არ დასცქერის პატარას, რა თქმა უნდა, იგი უფრო იოლად დაძლევს დეპრესიას, მაგრამ, რომ იცოდეთ, რამდენს ნიშნავს (პირველ ხანებში მაინც) გვერდით საიმედო და ალერსიანი მეუღლის ყოლა! ბავშვის გაჩენასთან ერთად საზრუნავი მატულობს, ათასი გაუთვალისწინებელი პრობლემა იქმნება. ერთად გადაჭერით ეს პრობლემები, ილაპარაკეთ, შეთანხმდით, მაშინ ქალი იგრძნობს, რომ ბავშვი —ორივესია და პასუხისმგებლობაც ორივეს თანაბრად აკისრიათ. როცა მამა ბავშვს ეალერსება, ხელში იყვანს და საფენებს უცვლის, ეს დიდი ფსიქოლოგიური დახმარებაა დედისთვის. ხოლო თუ დეპრესია მეუღლისა და ოჯახის წევრების დახმარების მიუხედავად რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება, უმჯობესია ფსიქოთერაპევტს მიმართოთ.

## რა განსაზღვრავს ახალშობილის ხასიათს?

ბავშვი გარკვეული მონაცემებით იბადება, რაც განუმეორებელს და სხვებისგან გამორჩეულს ხდის მას. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვის ხასიათი გარკვეულწილად ჩასახვამდეც კია განსაზღვრული დედ-მამის სურვილის მიხედვით. ბავშვის ყოლა სხვადასხვა წყვილს სხვადასხვა მიზეზით სურს და ეს მიზეზები, რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, დიდ როლს ასრულებს პატარის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

სიყვარული ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, თუმცა არა ერთადერთი მიზეზია ბავშვის გაჩენისთვის. ხანდახან, წყვილი ბავშვის გაჩენას მხოლოდ მათ შორის წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ფიქრობს: ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ხასიათზე, მას გადაეცემა დედის ქვეშეუცნობი ყოყმანი, თავს ძალზე ცუდად გრძნობს და შეძლებისდაგვარად გამოხატავს კიდეც ამას დაბადების შემდეგ: ვერ ისვენებს, უმიზეზოდ ტირის და საჭმელს არ ღებულობს. ბავშვი, რომლის დაბადებას სიხარულით ელოდნენ, რომელიც მუცელშივე უყვარდათ, იშვიათად ტირის, კარგად ჭამს და მშვიდად ძინავს.

## რა ახდენს გავლენას ბავშვის ხასიათზე

აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობით ფაქტორს. ბავშვი, რომელიც მშობლებისგან „იღებს" თვალის, კანისა და თმის ფერს, ნაწილობრივ, ხასიათსაც დედ-მამისგან ღებულობს. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პატარა ქვეყანას პოტენციური მემკვიდრეობითი ხასიათით ევლინება, მაგრამ გარემომცველი ატმოსფერო და ადამიანები, რომლებიც მას დასტრიალებენ თავს, ეხმარებიან პატარას ხასიათის საბოლოო ჩამოყალიბებაში. ამგვარად, მუცლად მყოფი ყოველი ბავშვი იღებს ინფორმაციას „გარედან" და შეძლებისდაგვარად „ამუშავებს" მას. ფსიქოლოგი კარმელო მონედერო ამტკიცებს, რომ „მუცლად მყოფ ნაყოფს მოძრაობისა და ქცევის გარკვეული მეთოდი აქვს".

# მშობლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



## როგორ მოვუაროთ ჩვილის თავს

ბევრი ბავშვი უთმო იბადება, ზოგს აქა-იქ აქვს თმა, ზოგს მთელ თავზე. ბავშვის სიმელოტემ არ შეგაწუხოთ, დროთა განმავლობაში თმა გაეზრდება. არც ისაა გამორიცხული, რომ თმით დაბადებულ ახალშობილს ის გასცვივდეს და რამდენიმე ხნით უთმოდ დარჩეს, ხოლო მოგვიანებით ამოსული თმა პირვანდელთან შედარებით განსხვავებული ფერის იყოს.

## ვარცხნის გაკვეთილი

ბავშვს თავზე ქერცლი რომ არ გაუჩნდეს, აუცილებელია მისი ყოველდღიურად დავარცხნა, მაშინაც კი, თუ იგი მელოტია. ბავშვებისთვის სპეციალური ჯაგრისი არსებობს.

თუ თქვენს ბავშვს უკვე აქვს თავზე პატარა ქერქი, წაუსვით ცოტა ნუშის ზეთი ან ვაზელინი, რომ ნელ-ნელა დარბილდეს და თავისით ასძვრეს, რადგან ახალშობილს მეტად სუსტი თავის ქალა აქვს და ნებისმიერმა, სულ მცირე ძალის გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს. არავითარ შემთხვევაში ქერქი ფრჩხილით არააძროთ. უმჯობესია, თუ ზეთს ან ვაზელინს ღამით მოუსობთ, რათა პატარამ ხელით არ მოიცილოს.

ბევრი დედა ფიქრობს, რომ ბავშვის თავის დაბანა ყოველდღე საჭირო არ არის. ეს შეცდომაა, რადგან ბავშვის კანი ცხიმიანია და რამდენიმე დღის დაუბანლობამ შეიძლება ქერქი გაუჩინოს თავზე. მეხუთე თვის შემდეგ თავის დაბანა ორ-სამ დღეში ერთხელ შეიძლება.

## როგორ დავბანოთ თავი

თუ ბავშვს წინა ღამით ვაზელინი წაუსვით, მეტი ყურადღებით უნდა გასაპნოთ და დაბანოთ ის.

თორმეტი-თექვსმეტი თვის ბავშვების თავის დასაბანად წყლის გარდა სპეციალური შამპუნი უნდა გამოიყენოთ კვირაში ერთხელ. საბავშვო შამპუნი ნაზია და არც თვალებს წვავს, თუმცა მაინც არ არის სასურველი ბავშვს ქაფი თვალში მოხვდეს, რამაც შეიძლება შეაშინოს და წყლის შიში დაუტოვოს.

საბავშვო შამპუნის ხმარების შემდეგ თავის მოქოჩვრა საჭირო არ არის, რადგან ის თავისით ასუფთავებს ბავშვის თმას. საკმარისია რამდენიმე წუთი აცალოთ და წყლით ჩამობანოთ თავი.

თავი პირდაპირ ონკანის წყლით არ უნდა დაბანოთ. საკმარისია სუფთა ღრუბელი გაჟღინთოთ წყლით და პატარის თავზე დააწუროთ. ამით მეტ დროს დაკარგავთ, მაგრამ არა უშავს, საბავშვო შამპუნი იოლად სცილდება თმას.

თავი პატარას პირსახოცით გაუმშრალეთ, მაგრამ სახეს ნუ შეეხებით, რადგან ეს ბავშვებს აშინებს და ანერვიულებს.

## რა მოეთხოვება ახალშობილს?

დაბადებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ექიმმა მთელი რიგი გამოცდები უნდა ჩაუტაროს თქვენს შვილს, რათა განსაზღვროს რაიმე სახის ანომალიასთან ხომ არ გვაქვს საქმე. მოგვიანებით ბავშვს უფრო ყურადღებით გასინჯავენ, თავის ზომას, წონასა და სიგრძეს დაუდგენენ და თუ ბავშვს არავითარი გადახრა არ აღმოაჩნდა, თქვენ და თქვენი მეუღლე საღსალამათ ჩვილს ჩაიბარებთ და თქვენს ბედნიერებას წინ აღარაფერი დაუდგება.

აი, რა გამოცდა უნდა გაიაროს თქვენმა ახალშობილმა.

**აპგარის ტესტი:** ამ ტესტის შედეგების მიხედვით პატარამ ერთიდან ათ ქულამდე უნდა დააგროვოს. ქულებს წერენ კანის ფერის, სუნთქვის სიხშირის, რეფლექსების მიხედვით და ა. შ. თუ ქულათა რაოდენობა ხუთზე დაბალია, ახალშობილს სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება, თუ ხუთსა და შვიდს შორის მერყეობს, მსუბუქი მკურნალობაც საკმარისია, ხოლო თუკი შვიდზე მეტია — ბავშვი აბსოლუტურად ჯანმრთელია.

**სუნთქვა:** თუ პატარას სუნთქვა უჭირს, მას ჟანგბადის ნიღაბს უკეთებენ, მაგრამ ამ საშუალებას იშვიათად იყენებენ.

თავის გაზომვა გულისხმობს ყიფლიბანდის მდგომარეობის შემოწმებას, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ გამაგრდება და დაიხურება, აგრეთვე თავის ქალის შემოწმებას, რომელიც მშობიარობის პროცესში ფორმას იცვლის და 4-5 დღე ჭირდება ბუნებრივი ფორმის აღსადგენად და თავის გარშემოწერილობის გაზომვას.

**წონა:** ბავშვი, რომელიც ორკილოგრამნახევარზე ნაკლებს იწონის, დღენაკლულ ან „მცირე წონის“ ბავშვად ითვლება და თუ სპეციალურ ზედამხედველობას საჭიროებს, ინკუბატორში უნდა იქნას მოთავსებული. ახალშობილის საშუალო წონა ორკილონახევარსა და ოთხკილონახევარს შორის მერყეობს. ხანდახან ჩვილი სიცოცხლის პირველ დღეებში წონას კარგავს. თუ თქვენს შვილსაც ასე მოუვიდა, ნუ შეშინდებით, პატარა არა მარტო აინაზღაურებს დანაკარგს, არამედ ყოველდღიურად მოიმატებს გრამებს.

**ზომა:** ნორმალური ბავშვის ზომა ორმოცდახუთსა და ორმოცდაათ სანტიმეტრს შორისაა.

**რეფლექსების გასინჯვა:** ახალშობილის ყველაზე მკვეთრად გამოხატული რეფლექსი არის დედის ძუძუს მებნა და წოვა. ამას გარდა, როცა პატარას ხელისგულს თითით შეეხებით, მან თითები უნდა მოგიჭიროთ. ამ რეფლექსს „ჩაჭიდების რეფლექსს“ უწოდებენ და პირველი სამი თვის შემდეგ ნელ-ნელა ქრება. არსებობს კიდევ ერთი რეფლექსი — „სიარულის რეფლექსი“. ის წინ უსწრებს სიარულისა და დაუხმარებლად მოძრაობის შესაძლებლობას. თუ პატარას ისე დაიჭერთ, რომ ფეხებით საყრდენს ეხებოდეს, ის ფეხებს მოსიარულესავით აამოძრავებს.

ეგრეთ წოდებული „მოროს რეფლექსი“ ითვალისწინებს ბავშვის რეაქციის შემოწმებას მოულოდნელი ხმაურის გაგონებაზე, ზოგი ბავშვი, ასეთ შემთხვევაში შიშისგან ტირილს იწყებს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა განმავლობაში რეფლექსები პროგრესულად კლებულობს და ეს ნორმალური მოვლენაა.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**



# რეზო ინანიშვილის

# შემოქმედის ბედი

სურათი რამე კარგზე მგლოვარი.
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

გალაკტიონი

იმ დღეს, როცა რეზო ინანიშვილს ეთხოვებოდა ქართველი ხალხი, ავად ვიყავ და მათთან ერთად ვერ დავიტირე.

იმ დღეს, წიგნების თაროდან ფრთხილად გადმოვიღე თაბახის შეყვითლებული ფურცელი და მასზე ნახატს თვალცრემლიანი დავყურებდი.

— ვისი დახატულია ეგა? — მკითხა შვილიშვილმა.

— კარგი ბიძიასი, — ვუპასუხე. მერე ბავშვის შეკითხვა ჩემთვის გავიმეორე: — ვისი დახატულია ეგა? რაღაც მომაგონდა. გონება დავძაბე, მერე რეზოს წიგნი გადავფურცლე და აი, „შემოქმედის ბედი". მოთხრობა ასე იწყება:

„ორჯერ ხმამაღლა მიტირია ჩემი შემოქმედების არასწორი შეფასების გამო, პირველად — მამა რომ წაიყვანეს და სახლს გვიჩხრეკდნენ. მაშინ ათი წლისა ვიყავი...

...მეორედ ვიტირე უკვე თბილისში...

...ვისი დახატულია ეგა? — თითის მიშვერით იკითხა მეძებელმანემ.

— ბავშვმა დახატა, აი ამან, — სიამაყით თქვა დედამ.

— ემაგისთვის ყველას დაგიჭერენ...

— რისთვის? — შიშმა აიტანა დედა...

...დედამ პორტრეტი კედლიდან ჩამოიღო და წვრილწვრილად, მთლად წვრილწვრილად დახია.

მე ტირილი დავიწყე".

ახლა მე იმ „ბავშვის" ნახატს თვალცრემლიანი დავყურებ და მაგონდება:

1981 წლის მარტი. საქართველოს მწერალთა IX ყრილობა. დარბაზი სავსეა მწერლებით, ჟურნალისტებით. სტუმრებით...

მეთხუთმეტე რიგში ვისხედით ჟურნალ „მნათობის" თანამშრომლები. ჩემს გვერდით გოგუცა აგიაშვილი იჯდა. მის გვერდით რეზო ინანიშვილი.

— იქ რატომ არ ხარო, — პრეზიდიუმისკენ ანიშნა გოგუცამ. — თქვენთან მირჩევნია, მნათობელებთანო — ღიმილით უპასუხა რეზომ და ფურცელზე რაღაც კონტური შემოხაზა, მერე ყურსაცვამი მოირგო და მომხსენებელს გულდაგულ უსმენდა. თან ფურცელზე — ფანქარს ამოძრავებდა. ეტყობოდა, რაღაცას ხატავდა. ცოტა ხანში ნახატი გამოიკვეთა.

— ეს რა კარგი ხატვა გცოდნია, მაჩუქემეთქი. — რას ამბობ, არ ვარგაო, — მითხრა და ნახატი რამდენჯერმე გადახაზა.

გული დამწყდა, არ მოვეშვი: მომეცი, ასე გადახაზულებითაც მომწონს-მეთქი.

რეზომ გაიცინა. კარგი, კარგი, რადგან მართლა მოგწონს, ისევ ასეთს დაგიხატავო, და შესვენებისას დამიხატა.

ამ ცოტა ხნის წინ ვუთხარი: შენ რომ ნახატი მაჩუქე, გაფერმკრთალდა, მოგიტან და დამიმუქე-მეთქი. — რა ნახატიო, — გაუკვირდა. შევახსენე. გაეხარდა. ერთი მომიტანე, ვნახოო...

მას შემდეგ აღარ მინახავს.

ახლა თვალცრემლიანი დავყურებ იმ ნახატს და ვფიქრობ: მართლაც, რა საოცარი ყოფილა „შემოქმედის ბედი", რას ვიფიქრებდი, რომ გამოსათხოვარს შენივე ნახატით გეტყოდი, ძმაო რეზო!

**ნაზი თარგამაძე**



# გამოსათხოვარი

## ჩვენი რეზო

გარდაიცვალა რეზო ინანიშვილი, თოფებისა და ზარბაზნების ქუხილში მიაბარა უფალს თავისი ფაქიზი სული, ჩვენ კი, მის მეგობრებს დიდი გულისტკივილი დაგვიტოვა უდროოდ წასვლით და კიდევ იმით, რომ ვერ მოვახერხეთ მისი მიცილება სამუდამო სამყოფელამდე ისე, როგორც შეეფერებოდა.

წავიდა რეზო ინანიშვილი, მაგრამ დარჩა მისი დიდებული მოთხრობები, რომლებიც წლების მანძილზე გვანცვიფრებდა, გვატკბობდა თავისი სიფაქიზითა და მშვენიერებით.

რეზო თითოეულ სიტყვას ზრუნვით დასტრიალებდა თავს: არკვევდა, არჩევდა ამასა და ამას ჩვენში ასე ჰქვია, თქვენ რაღას ეძახითო, ბევრჯერ უკითხავს ჩემთვის.

რეზო ინანიშვილი დიდი ძალა იყო ქართული ლიტერატურისა, მის თანამედროვეებს გვწამდა მისი ნიჭისა და აზრისა.

ერთ დილას რეზო სამსახურში პირდაპირ თავისი სოფლიდან მოვიდა. თან კარგად მოზრდილი, მწიფე გულაბი მსხლით სავსე კალათა მოიტანა და მაგიდაზე დადგა (მაშინ ვმუშაობდით გამომცემლობა „ნაკადულში"). ოთახში მყოფები ხომ მიგვიპატიჟა, გარედან შემოსულებიც არ დატოვა უპატივცემლოდ. თვალს ვერ ვაშორებდი მსხლით სავსე კალათს, ასე მეგონა რეზომ იმ კალათით რედაქციაში სოფლის სურნელება და სილამაზე შემოიტანა. მართლაც ლამაზი იყო თითოეული ნაყოფი, აქა-იქ მიმობნეული წერნაგებითა და ყუნწებზე შერჩენილი მწვანე, ხასხასა ფოთლებით.

რეზო გულუხვად გვიმასპინძლდებოდა, ყუნწით გვაწვდიდა მწიფე გულაბებს, თან ღიმილით გვეუბნებოდა: მიირთვით, ხალხნო, ჩვენი კალოს მსხალიო. ახლაც თვალწინ მიდგას გაღიმებული რეზო ინანიშვილი. ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი ფაქიზი სული.

**ნინო ბეზარაშვილი**

# სახელი სამზეოჲა



## დაკარგული საფლავები

ბევრი ადამიანი შეეწირა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას. ზოგიერთის სახელი დღემდე არ არის ცნობილი, ვინც ციმბირში მარტოდმარტომ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე. ჩვენი ადამიანური ვალია თუ ვიცით მათზე რაიმე, მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ, რათა არ დავუკარგოთ შთამომავლობას ის ადამიანები, ვინც მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს კეთილდღეობას.

ერთი ასეთი ჭაბუკი იყო ქუთაისიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ოციოდე წლის **სანდრო ხონელიძე**. ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს მასთან. იგი ჩვენს ოჯახში საფო მგელაძის შემოქმედების დიდმა სიყვარულმა მოიყვანა. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, ჰქონდა მშვენიერი ხვეული თმა, თაფლისფერი კეთილი თვალები, რაღაც განსაკუთრებული ღიმილი ამშვენებდა. ერთხელ კიდეც ვუთხარი:

შენს სულ უნდა იღიმებოდე-მეთქი. არა მაქვს ამის უფლებაო. — რატომ-მეთქი? — გავიკვირვე.

— იმიტომ, რომ მზარავს ის უსამართლობა, რაც დღეს ხდებაო.

— ამიხსენი, როგორ გავიგო ეს-მეთქი.

— შენ ჯერ ბავშვი ხარ და ვერ გაიგებო.

ერთხელ მე და სანდრო რუსთაველის გამზირზე მივდიოდით, შეგვხვდა ერთი საერთო ნაცნობი, რომელმაც მითხრა: — რად დადიხარ ამასთან? ხომ იცი, მთელი თავისი ცხოვრება ციხეში უნდა გაატაროს.

სანდროს გაეღიმა, არაფერი უპასუხა. როცა მარტონი დავრჩით, მიზეზი ვკითხე.

— სტუდენტთა ერთი ჯგუფი, თავს ვიყრით ხოლმე და სიმართლეს ვლაპარაკობთო.

— ჩვენთან მოსვლისას დიდხანს საუბრობდა საფოსთან და მათ რომ ვუსმენდი, ჩემი თავი სულელი და არაფრის მცოდნე მეგონა.

არსებული ხელისუფლებისადმი თავის კრიტიკულ აზრს აშკარად გამოთქვამდა მეგობართა წრეში, ერთხელ საზღვარგარეთ გაპარვაც ლააპირა, მაგრამ დააბრუნეს.

მინდა მკითხველს გავაცნო საფოსადმი მოწერილი სანდროს წერილი, რომელიც ნათელს მოფენს ყოველივეს, თუ რა აწუხებდათ ავტორსა და ადრესატს იმ ძნელბედობის ჟამს.

### ძვირფასო ადამიანო!

თქვენი ბარათები ახალი განცდებით მოიჭრენ ჩემთან, თან მოიტანეს თქვენი თბილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსი, ეს ერთადერთი ლამაზი ხაზი ჩემს მკრთალ ცხოვრებაში (თუ მხოლოდ სიცოცხლეში). მამძიმებს შთაბეჭდილება თქვენი სულიერი განწყობილებისა.

ო... ქალბატონო საფო, როდის მოელება ყოველივე ამას ბოლო, ო... რა ძნელი ასატანია ყოველივე ეს.

მე მესმის თქვენი, ქ-ნო საფო!

გარწმუნებთ, რომ ეს მოვლენა მარტო თქვენ არ გაწუხებთ, მაგრამ.. ახლა ზამთარია და ცივა...

მრავალი ახალგაზრდა გოგონა მოდის ჩემთან, რომ ვესაუბრო თქვენზე, მათ უყვარხართ თქვენ, ქ-ნო საფო! და, რომ ვუკვირდები, ყველაზე ლამაზი მკითხველები თქვენა გყავთ. თქვენ უყვარხართ შეურყვნელ, სათნო და მეოცნებე ახალგაზრდობას. თქვენი გრძნობები აწვალებთ მათ, თქვენი ცეცხლი ალაგზნებთ და თქვენი სიკვდილი (როგორც მწერთ) თავზარდამცემი ქარიშხალი იქნება მათთვის.

მე მიყვარს ეს გოგონები, თქვენი სიტყვებით რომ საუბრობენ და მოელიან დათოვლილ დღეს, თამამ თამაზს რომ მოიყვანს დათოვლილი პლედით, რათა შეხვდენ მას ვით „ამაყი ლედი" და დასწვან „სულში ვნება", ისე, „როგორც ბუხარში ცეცხლი". მათში ერთი თინა ყიფიანია (ეს ის თინა ყიფიანია, რომელსაც ლადო ასათიანმა დიდი ლექსი მიუძღვნა და თავის კრებულში შეიტანა შ. მ.).

პატარა, შავგვრემანი, დიდრონი უძირო თვალებით... შავი ტევრი თმა შავი ღამის შავ ფარდებად რომ დასწოლია ყელზე, ის ყოველდღიურად კითხულობს თქვენს „ლიანა ლორდიას", „ნანას" და აცრემლებული თვალებით მხვდება. იგი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეა, კარგად სწავლობს ფსიქოლოგიას და ეცნობა სულის უნაზეს ხალაროებს, გაღმერთებთ თქვენ და ოცნებობს, მნათობის შარავანდედით აელვარებულ ქართული ტაძრის ვრცელ თაღებში, შეგხვდეთ თქვენ — ქართველი გოგონების გულის მესაიდუმლეს, ლამაზი სიყვარულის ლამაზ მხატვარს და მოგიძღვნათ დაწნული გვირგვინი.

მხოლოდ ერთხელ გაეჯავრა იგი თქვენმა სისასტიკემ (ო, როგორ შეიკრებიან ხოლმე მისი შავი წარბები, როგორი ტკივილებით დაიხაზება მისი გარუჯული სახე). ვერ ურიგდება თამაზის სიკვდილს და როცა ლიანა თბილი ოთახის სარკმლიდან შესცქეროდა თამაზის მიმქრალ სახეს, ცივი შხეფები რომ სცემდა, მან შეწყვიტა კითხვა... და თქვა: „მე გადავიჭრებოდი ფანჯრიდან, ავიტაცებდი თამაზს და ჩემი ალერსის ბურანში შევაცურებდი, კოცნის ნამტვრევების კოშკს ავუგებდი".

აქ გცილდებათ იგი თქვენ, ბავშვია. თავზარს სცემს სიკვდილის წარმოდგენა და ვერ გაუგია, როგორ შეიძლება უარყო საყვარელი ადამიანის გრძნობები. ეს უარყოფა კი საუბედუროდ, ჩვეულებრივი ამბავია ცხოვრებაში. ხომ ქ-ნო საფო?! მე?!

ერთფეროვნება და სევდა, დღეები მხოლოდ რიცხვით განირჩევიან ერთმანეთისაგან და მრჩება ფიქრი, ძიება და თქვენი ბარათები. ქუთაისი კიდევ უფრო „დაბალჭერიანი კოლოფია" ჩემთვის და მე ყველაფერს მივცემდი, რომ თბილისში ვიცხოვრო, ყველაფერს გავიმეტებდი, ქუჩაში შემთხვევითი შეხვედრებისათვის, თუმცა ვინ იცის, როგორ სჯობია... მეტი რა, ძვირფასო ადამიანო, ვისურვებდი ყველაფერს, რაც ბედნიერებას მოგანიჭებდათ თქვენ. იყავით კარგად, სალამი მას... შუშიკოს.

### სანდრო 5/XII 34 წ. ქუთაისი

1935 წელს სამწუხარო ამბავი გვაცნობეს, სანდრო ქუთაისში დააპატიმრეს და თბილისის ციხეში გადმოიყვანესო. ამის შესახებ საფო მგელაძე ლადო ასათიანისადმი საპასუხო ბარათს ასე ამთავრებდა: „წერა უნდა შევწყვიტო აქ, თბილისში ერთი ძვირფასი პატიმარი მყავს, მე ის დღემდის ვერ ვნახე, ჯერ ავად ვიყავი, შემდეგ კიდევ ნებართვის აღებას მთელი თვე მოვუნდი.

გუშინ ავიღეთ ნებართვა, მაგრამ არ ვიცი: რამდენად საიმედოა იგი. ვისაც არ მივმართე, ყველა ასე მეკითხება:

— რა არის ის თქვენი? ძმა? შვილი? — არც ძმაა და არც შვილი, კარგი მეგობარია — მეთქი, ვუპასუხე ერთ მათგანს.

— ახ, ის თქვენი მეგობარია?! — და გამომცდელი ირონიული მზერით მიყურებენ. ნებართვა არ გამოდგა, მითხრეს, რომ ამ დღეებში პოლიტიკურ პატიმრებს ციმბირში ასახლებენ და მათი ნახვა არ შეიძლებაო".

1936 წლის მაისში ჩვენი ოჯახი კომსომოლსკიდან ღებულობს სანდროს ღია ბარათს.

### „ძვირფასო ადამიანო!

10 მაისს დაიძრა ყინული ამურზე, დათბა, აქა-იქ მწვანე ყლორტების მკრთალი ღიმილია. ფიქრებში მამადავითის მთა და თქვენა ხართ, ეს ფიქრი სევდიანია. პასუხს ნუ დააყოვნებთ, ეს ვედრებაა შორეული. სალამი პატარა შუშიკას. ჩქარა, ჩქარა მოიწერეთ მეგობარო.

სანდრო 1936 წ. მაისი".

საფო მგელაძე კი ამ დროს სასიკვდილო სარეცელზე იწვა და ეს დიდი სიყვარულით გამთბარი პატარა წერილი უპასუხოდ დარჩა უსამართლოდ გადასახლებული ახალგაზრდა კაცისა, რომლის სიცოცხლეც სულ მალე ციმბირის მიწამ მიიბარა.

მკითხველს ალბათ დააინტერესებს სანდროს ახლობლები. მისი ძმა-ნოდარ ხონელიძე, და — ქეთევან ხონელიძე — ჩოგოვაძე, ბიძაშვილი ზინა ხონელიძე-აბაშიძე, თინა ყიფიანი-ციციშვილი თბილისში ცხოვრობენ, აქვთ შესანიშნავი ოჯახები, ჰყავთ მშვენიერი შვილები. მარტო ის რად ღირს, რომ ამ დიდებულ ქართველ ქალებს — თინას, ზინას და ქეთევანს ლადო ასათიანმა ლექსები მიუძღვნა და თავის კრებულში შეიტანა. დღეს ისინი სათუთად ინახავენ სანდროს ხსოვნას და მოუთმენლად მოელიან ამ წერილის გამოქვეყნებას, რათა სამზეოზე გამოვიდეს მათი ძვირფასი ადამიანის სახელი.

**შუშანა მგელაძე**

# იუმორი

## მეზობლების საუბრიდან

— საქმე ის გახლავთ, დიდად პატივცემულო, როცა მე და ჩემი ცოლი ვჩხუბობთ ხოლმე, დამსწრე არავინაა — ბავშვებს გარეთ ვუშვებთ, რომ არ მოისმინონ.

— აჰა! ახლა ჩემთვის გასაგებია, თქვენი ბავშვები სულ ქუჩაში რატომ არიან.

## ასოციაცია

სცენაზე მომღერალი გამოვიდა და ნაღვლიანი სიმღერა გააბა. თან აქეთ-იქით იყურებოდა, აბა გული ვის ავუჩუყეო. დაინახა, რომ სულ უკანა კუთხეში მდგარი დედაკაცი ტიროდა. სიმღერა დაამთავრა თუ არა, სცენიდან ჩამოირბინა, დედაბერთან მიიჭრა და ჰკითხა:

— წაიტირე, ბებო?

— როგორ არ მეტირა, ჩემო კარგო პანიჩ. შენ ზუსტად ისე მღეროდი, როგორც ჩემი თხა კიკინებდა, როცა მგლებმა დამიგლიჯეს.

## ნართაული

— დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ ადამიანმა წელიწადში სამი კილო მარილი უნდა შეჭამოს. — უთხრა პატარძალმა ქმარს სადილობის დროს.

— მართალია, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ერთი სადილის დროს კი არა, — მიუგო ქმარმა და დიდი გაჭირვებით გადაყლაპა ძალზე მლაშე წვენი.

## ქორწილში

— პატარძალს თითქოს გადაღლილი გამომეტყველება აქვს. — გადაულაპარაკა ერთმა ქალმა მეზობელს.

— აბა რა იქნება, ეგ ხომ ამ ადგილისთვის მთელ ათ წელიწადს იბრძოდა...

## სიბერის ნიშანი

— ხედავ, ჩვენი ჰანსი როგორ დაბერდა, — უთხრა ოტომ მეგობარს, — ჯერ მენიუს შეათვალიერებს ხოლმე და მერე ოფიციანტ ქალს.

## ღალატი

— ქალბატონო, ქმარს ეყრებით?

— ხო, მომწყინდა სულ მუდამ მარტოდ ყოფნა.

იუმორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იესო ქრისტეს ნათლობა

ერთხელ, როცა იოანე ამას ლაპარაკობდა, მასთან მივიდა იესო ქრისტე, რათა მის მიერ მონათლულიყო.

„შენ მოხვედი ჩემთან? — უთხრა მას იოანემ — „მე თვითონ შენგან უნდა მივიღო ნათელი!" მაგრამ ქრისტემ უპასუხა: „ასე უნდა მოხდეს". იოანე დაემორჩილა და მონათლა იგი.

როდესაც იესო ქრისტე ამოდიოდა წყლიდან, გაიხსნა ცა და ღმერთის სული, მტრედის სახით, გადმოვიდა მასზე. ციდან მოისმა ხმა ღმრთისა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც სათნო ვყავ".



# იესო ქრისტე უდაბნოში

ნათლობის შემდეგ იესო ქრისტე უდაბნოში წავიდა, სადაც ორმოცი დღე გაატარა მარხვასა და ლოცვაში. ამ ხანგრძლივი განმარტოების ბოლოს, როცა იგი შიმშილისაგან დასუსტდა, გამოცხადდა მის წინაშე ბოროტი სული — ეშმაკი და მისი შეცდენა სცადა. ეუბნებოდა: „თუკი შენ ძე ღმრთისა ხარ, გადააქციე ეს ქვები პურად და მოიკალი შიმშილი", მაგრამ ქრისტემ უპასუხა მას: „ადამიანი ცოცხლობს არა მხოლოდ პირით, არამედ ღმრთის სიტყვით".

მაშინ ეშმაკმა აიყვანა იგი ტაძრის მაღლა სახურავზე და უთხრა „თუკი შენ ღმრთის შვილი ხარ, გადავარდი დაბლა. ხომ მაინც ანგელოზები დაგიჭერენ ჰაერში".

მაგრამ ქრისტემ უპასუხა მას: „ადამიანმა არ უნდა გამოსცადოს ნიჭეთე ღმრთისა და საჭიროების გარეშე არ უნდა მოელოდეს სასწაულს".

მაშინ ეშმაკმა აიყვანა იგი მაღალ გორაზე, დაანახა მთელი სამყარო, მისი სიმდიდრე და უთხრა: „თაყვანი მეცი მე და მოგცემ ყველაფერს, რასაც კი ხედავ!" მაგრამ ქრისტემ უპასუხა მას: — გამშორდი, სატანავ! მხოლოდ ერთს, მეუფე ღმერთს უნდა ეთაყვანოს ადამიანი!"

ეშმაკი გაშორდა მას და გაქრა.

## ვარაუდი

ჰამბურგის დიდი მაღაზიის ცნობათა ბიუროში ქალმა იკითხა:

— შემთხვევით ჩემს ქმარს თქვენთვის ხომ არ მოუმართავს? მე მას აქ დავუნიშნე შეხვედრა, მაგრამ ერთი საათით დამაგვიანდა.

— როგორ გამოიყურება თქვენი ქმარი?

— ალბათ, ძალზე ბრაზიანად.

## ბედის გალიმება

— ღმერთო ჩემო, ჰანს, ბანქოში პალტო წააგე?!

— საათიც, ჩემო კარგო, საათიც.

— უფალო დაგვიფარე...

— ნუ ღელავ, ძვირფასო, შენ ვერ წარმოიდგენ, ბედმა როგორ გამიღიმა: პალტოსა და საათის მაქსიმალური ფასი ორასი მარკაა, მე კი ისინი ორას ორმოცდაათი მარკის საფასურში ჩამითვალეს.

## განცხადება

ერთ გაზეთში ასეთი განცხადება გამოქვეყნდა:

„იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლემ მიმატოვა, ვეძებ საცოლეს, რომელიც მამაკაცის სვიტერის მოქსოვას დაასრულებს".

## ანდერძის შესრულება

სიკვდილის წინ ექიმმა სთხოვა ცოლს, მის საფლავზე წარწერა გაეკეთებინა. ცოლმა, რომელიც გაბრაზებული გახლდათ, წარწერაზე ფული რომ არ დახარჯოდა, საფლავის ჯვარზე მიამაგრა ქმრის საექიმო აბრა: „ექიმი გავანკოვი იღებს ავადმყოფებს 8-დან 11 საათამდე".

## გულისწყრომა

როსჩილდის ბელფასის ნაწილს ნათესავს უგზავნიდა სიცილიაში. მათი მორიგი შეხვედრის დროს როსჩილდმა უთხრა:

—სამწუხაროდ, ჩემო ძვირფასო, მორიგი თვიდან ფულს ვეღარ გამოგიგზავნი. მე და ლუჩიას ეს-ეს არის ვაჟიშვილი შეგვეძინა.

— მერედა ჩემი ფულით გინდა შვილის აღზრდა? — წამოიძახა გულისწყრომით სიცილიელმა.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

# იუმორი

ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ინდიანის უნივერსიტეტს, რომელიც ამავე შტატის ქალაქ ბლუმინგტანში მდებარეობს.

ამ უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის ფოიეში, სადაც უნივერსიტეტის დაფუძნების მემორიალია, კედელს ამშვენებს შავი მარმარილოს დაფა, რომელზეც ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული იმ პროფესორთა გვარები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ამ უნივერსიტეტს.

1985 წლიდან ამ ტიტულით დაფაზე ამოტვიფრულია ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, პროფესორ დოდონა კიზირიას სახელი.

ქალბატონ დოდონა კიზირიას ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს, როგორც პოეტსაც.

ამჟამად „საქართველოს ქალი" მკითხველს სთავაზობს დოდონა კიზირიას რამდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსს.



## დოდონა კიზირია

### ნოსტალგია

მე ისევ უკან ვიხედები,
ვეძებ ბეწვის ხიდს
გადასახვევთან...
ეს ხედი მაგონებს
წითელ ვაგონებს
და ვიწრო ქუჩას,
სასწაულების მოლოდინით მოჩუქურთმებულს,
მის გასწვრივ დარგულან წლები,
როგორც აკაციები
და როცა დგება გაზაფხულის ცხელებ-ციება,
მუქი ქალები ყიდიან ვანილსა და იებს.
რა კარგი დარია!
რა სანეტარო
ყოველი საგანი!
აკაციების ნაზი ნამგლები
სურნელს მაფენენ და მატანენ.
მე ხელით ვეხები
ხეთა ხაოიან კანს
და გულის ფეთება ეხეთქება
ამოჭრილ ასოებს.
როგორ აუვსიათ
ღია ფანჯრები ფრთებსა და თრთოლას.
ისევ უმღერენ თეთრ თოლიას
და სასურველ მეგობს,
რომელსაც, თურმე თვალები მიუგავს
სხივოსან მზეს.
რა საოცრება მოხდება დღეს?!
რა გამოცდები
ჩაბარდება წამთა ჩანჩქერებს?!
საით მივილტვი, საით მივრბი,
რად მივეჩქარი?
ქუჩის ბოლოში რაღაც მოჩანს დაუვიწყარი
და ბედნიერი.
როგორც ძაფზე აბმული ბურთულა,
შორს გასაქცევად გამიზნული,
ცისკენ მიმართული,
რა სათუთია მისი კრთომა, რა უმეცარი!
და, აი, უეცრად,
როგორც სინათლე — მომაკვდავ თვალებს,
ხელიდან მისხლტება და ქრება უკვალოდ...
ბეწვის ხიდს იქეთ ყოველი ყოფილი
თითქოს არც ყოფილა.

### გამომშვიდობება

*შორს, თვალუწვდენელ ლაჟვარდს იქით...*
*გ. ტ.*

როგორც სახლსა და მიწას,
ვტოვებ სახელს და ხმას,
რომელიც დღედამ თავისკენ მიხმობს
კედლად აღმართულ ლაჟვარდის მიღმა,
როგორც მეზღვაურს — ვარსკვლავი.
ალბათ გინახავს უმწეო სევდის ასეთი სიღრმე
ხბოს თვალებში, რომელიც მიჰყავთ დასაკლავად.
და როცა გამოჭრილ ყელიდან
ცხელი იფეთქებს დარდი.
უღონოდ ვცდილობ მზერას მოვაშორო
სიკვდილის წითელი ფარდები,
რომ დავინახო შორიდან...
შორიდან...
შორიდან...
უკვე წარსული სიცოცხლის ტევრში
გამქრალი სილუეტი.

ცთომა-გზის გამრუდება...
ღიმილი-სიცილში ნახე.
სულხან-საბა

გზა არს ზომიერი, თურმე, სავალი კაცთა...
მე დიდი ხანია, როგორც ჩანს, ავცდი
მის დამცველ საზღვრებს.
ღრმად ჩამითრია სივრცეების უძირო ღვარმა,
დაუსრულებლად რომ მაბრუნებს და მაღელვებს.
ნახევარსფეროთა შუას გამობმული ირხევა ტანი
და მაყურებელთა შეძახილები აუტანელი
ორივე ნაპირს ტალღად აწყდება.
დაღლილი ძარღვები საცაა დაწყდება
და სიღრმეებს წამით გაუჩნდებათ ძვალტყავა ლუკმა.
ზღვაში თოვლივით გაუჩინარდება უხმოდ და უკვალოდ
ჩემი ლექსების მსუბუქი ფიფქები.
ნეტავ რა იქნება
იქ, სადაც ვიდექი
მე და
ვიღიმებოდი...

# პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმღეროთ ჰიმნი
მეზღვაურთა და მოგზაურთა...
გ. ტ.

როცა გვეკარგება რწმენა, ვკარგავთ უკვდავებას.
სევდა ტყვიისფერი, როგორც გარდასულ სიხარულზე ვაება,
ცასა და მიწას ხუდარასავით ეფარება
და გულის სურვილებს აღარსად რჩებათ თავშესაფარი,
მზერა ებჯინება სივრცეებს ქვიშიანსა და უნაყოფოს.
ალბათ ასეთი უიალქნო და პირველყოფილი
ოკეანეზე უეცრად იშვა სიცარიელე,
როდესაც შავფრთიანმა არიელმა
ბრწყინვალე ატლანტიდა მძიმე ტალღების ქვეშ გააუჩინარა,
ანდა, როდესაც უკანასკნელ იმედივით მოკიაფე ჩინარი,
ურჩად კლდის პირზე ამოსული და მოღიმარი,
გრიგალმა უფსკრულში გადაჩეხა
და დარჩა პიტალო შიშველი, სიმარტოვით თავზარდამტეხი.
გოლგოთის გორაზე ასატანი ბოძივით მძიმე,
სიცოცხლე ყოფის უსასრულობაში იძირება
და ყველა კითხვას ეგებება გულგრილი: — სულერთია...
რადგან განუყოფელი და ერთია სული
მარადისობისთვის დაკარგული.

## ტვირთი

ვადიდოთ მარტოობის განუყოფელი ტვირთი,
მწვერვალთა სამყოფელივით მაღალი და მარტივი,
როგორც სახელი — სიზიფე.
და მხუბუქია და მყიფე
ხვედრი იმ მრავალთა და მრავალთა,
ვისაც სილაღის კალთა
ბედმა წყალობად გადააფარა
და უმეცრება უბოძა ფარად.
ვადიდოთ სიმწარე ურჩი ნაბიჯების.
მიწას რომ სისხლიან ტერფებით ებჯინება,
როდესაც კბილებით დაფლეთილ ბაგეებს
არ ძალუძთ გმობა და წყევლა განგების,
ლონემიხდილი ხერხემალი, ვიწრო და მსხვრევადი,
ილწვის არ დაფანტოს ძვლები ნამსხვრევებად.
თითები ითვლიან ციცაბო გოჯებს
და თვალები ალმართის დასახრულს დარაჯობენ.
ვადიდოთ წამი სანატრელი და ერთადერთი,
როდესაც ლოდი, ზეცას ატანილი, გვიგდია ფერხთით
და მზერა დაბინდული ცრემლით და ოფლით
ზევიდან დასცქერის მხოფლიოს,
როგორც მისი განმგებელი და მფლობელი.
არ აგონდება მომლოდინე გზის ულმობლობა
და არის მადლობელი იმ უმართებლო ხვედრის,
რომლის ჭიდილი უდრის ღმერთებთან შეხვედრას.
ო, რა ხანმოკლეა ეს შეხება მიწის და ცის,
და მაინც ვადიდოთ ქარტეხილები მარტოხელა გზის
და გამარჯვება წამიერი
მრავალჟამიერ.

...What's to sieed?
Tis a visionary diessing
(1729) John Gray

როდესაც ჩემი მზერა დედამიწის კუთხეს მოარღვევს
და თითქოს საკურთხეველზე,
დამიდებს სასთუმალთან.
სივრცეები იკეცებიან უმალვე
და წარსული, თვალის გუგებში მოტივტივე,
ხდება ბავშვობასავით მარტივი
და გულახდილი, როგორც საუბარი ბუხართან.
განზრახვებისა და გეგმების ორატორული მქუხარება
იცვლება ალხარებასავით მუხლმოყრილი ჩურჩულით
და ჩემი ხვევნა უსარჩულო
გულში იხუტებს ქუჩას
ყველა შეხვედრებით,
გაცილებებითა და ყვედრებით.
საფეთქლებს შორის გადაშლილი სანახაობანი
ნაცნობია, როგორც მშობლიური ანბანი
და ჩემი ორეულები დანავარდობენ თავისუფლად,
აღჭურვილნი მბრძანებლური უფლებებით.
სულის შებერვით იღება კარი და ფანჯრები,
გარეთ არავინ მაგდებს და არავინ მიჯავრდება.
შუბლი გამჭვირვალე კედელს ბალიშივით ახურებს
და ღიმილი სახეს აბრეშუმის საბნად ეხურება.
დროის უფსკრულებზე გაკიდულ საქანელას
ფიქრების ფანტელები აქანავებენ,
სიბნელის ფასკუნჯი ქვესკნელისკენ მიმაფრენს რწევით,
მოგონებათა ლურჯი პეპლები ვეღარ მეწევიან
და საიდუმლო გამოქვაბულში ფრთებს შლის სიჩუმე,
ღამესავით თვალუწვდენელი და მრუმე.

## ყურძენი

აი, ყურძენი — მჭიდრო მტევნების უხვი აკიდო.
ამდენი მზე და ნათლის ზეიმი რარიგ ჩაიდო
ამ ნატვრისთვალა თაფლისფერ ბურთულებში?!
საუკუნეთა სიბრძნის სირთულე
და მძიმე მიწის უშუალო უბრალოება
სამურველ ვალად და მუდმივ ბრალად ვინ გვიწყალობა?!
რა მართალია წამი წარსული და მარადი,
როცა წარმართული წესი და რიგი ახლად მეორდება,
უცოდველ მსხვერპლის მადლი რომ ადიდოს
და უკვდავი სული
ასე ცოტა ხნით ამა სოფლად ერთხელ მოსულმა.
და როცა სიმთვრალის ცეკვა თხისფეხება
მწიფე მუძუებს სურვილით ეხება,
როგორ ჩუხჩუხებს და ჩქეფს სიცოცხლე
სისხლად დანთხეული მტევანთა ძარღვებიდან.
დაღლილ ხჩეულში რა სიტკბო ილევება
და ითრება ცეცხლი,
როცა იცლება ავსებული პირთამდე რქა,
და სადღეგრძელო ეძღვნება სიტყვას, რომელმან რქუა:
„მე ვარ ვენახი“,
ანუ აღდგომა და განახლება.
აქ ხელოვნება ხორციელი ახელებს ვნებას,
რომ ეზიარონ საიდუმლოს ღვთიური ნების
ტურფა ასულნი და მიჯნური ძენი.
აი, ყურძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ტოზაშვილი ცნობილი ფერმწერი, ინდივიდუალური ხელწერის მქონე შემოქმედია. მისი სურათები არ საჭიროებს განმარტებას. ისე ჩანს მხატვრის შინაგანი სამყარო, მისი გრძნობიერება და თვითმყოფადობა.

განმარტოებულია მხატვარი თავის პატარა სახელოსნოში და მეუდაბნოეს გულმოდგინებით გადააქვს ტილოზე ის ხილვები, რასაც ზენა უგზავნის.

ახლახანს დაბრუნდა იგი გერმანიიდან. ამ წერილში სწორედ გერმანიაში ნანახი და განცდილია გადმოცემული.



რუსუდან ტოზაშვილი

# ჩემი ნახატები დრეზდენის გალერეაში

ქალაქ დრეზდენში, გერჰერდ და ინგე რუდვიგების შესანიშნავ ოჯახში სტუმრად მიმიწვიეს. მანამდე კი, საქართველოში ყოფნისას, ჩემს სახელოსნოში ნახეს ჩემი ნამუშევრები და ეტყობა, მოეწონათ როგორც მერე გაირკვა. ბატონი გერჰერდის აზრს მხატვართა წრეში დიდ ანგარიშს უწევენ.

თბილისიდან რამდენიმე პატარა მოცულობის ფერადი გრაფიკა წავიღე. ვიფიქრე საჩუქრებად გადავცემ-მეთქი შემოქმედების მოყვარულ ადამიანებს. მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ჩასვლის მეორე დღესვე, ჩემი მასპინძელი დაუკავშირდა დრეზდენის გალერეის დირექტორს და სთხოვა ჩემი ნახატები ენახა. დრეზდენის გალერეის დირექტორს ყველა ჩასული მხატვრის მიღება არ შეუძლია. მაგრამ ეტყობა ჩემზე რაღაც საყურადღებო ინფორმაცია ჰქონდა მიღებული.

მეორე დღესვე დაგვინიშნა შეხვედრა. საკმაოდ დიდხანს ათვალიერა ჩემი ნამუშევარი. ბოლოს ოთხი ნახატი გადადო: ამ ნახატებს ხელოვნებისმცოდნეებს ვაჩვენებო. მართალია, წლის ბოლოს ფონდი ამოწურული ჰქონდათ, მაინც შეიძენდნენ ერთ ან ორ ნამუშევარს და სლაიდებსაც ნახავდნენ, რადგან თბილად მიმიღო. მეც ჩემებურად გადავუხადე სიკეთე — ერთი ნახატი ავტოგრაფით საჩუქრად გადავეცი. როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს ნახატი დრეზდენის გალერეას დარჩენია საჩუქრად, რადგან დირექტორი სამსახურში იმყოფებოდა. თურმე ნახატის საჩუქრად მიღება არ შეეძლო.

ორი დღის შემდეგ ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრეს, რომ ორი ნახატი შეიძინა დრეზდენის გალერეამ, ორ-ორი ნახატი კი იმ ხელოვნებისმცოდნეებმა, რომელთაც ჩემი ნახატების შეფასება ევალებოდათ. მომთხოვეს ავტობიოგრაფია და მითხრეს, რომ ჩემი სამი პატარა ნახატით დრეზდენის გალერეის ისტორიაში ვარ შესული. პატივისცემის ნიშნად დამპატიჟეს დიდი გერმანელი მხატვრის ოტო დიქსის გამოფენაზე დრეზდენის გალერეაში.

გამოფენა გახსნა დრეზდენის გალერეის გენერალურმა დირექტორმა.

ეს ძალიან საინტერესო გამოფენა გახლდათ. ძირითადად გამოფენილი იყო გრაფიკა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფერწერულ ტილოსაც. მის ნამუშევრებში ჩანდა ფილოსოფია, ბუნება, სიყვარული. ძალიან ბევრი ტილო ომის თემას ეძღვნებოდა. ოტო დიქსის ნახატებიდან სევდიანი სახეები შემოგვყურებენ. უამრავი პორტრეტი იყო წარმოდგენილი. იგი ბრწყინვალე პორტრეტისტია. იოლი ქესტი, ხედვა, ტკივილი მხატვრის თვალით იყო დანახული და ჩვენში მძაფრად გადმოდიოდა.

ძალიან ბევრი მეუბნებოდა, რომ ჩემი და ოტო დიქსის ნამუშევრები ერთმანეთს ენათესავებიან, რომ ჩემი ხედვა ძალიან გავს ოტო დიქსის ხედვას. ეს სასიხარულო იყო ჩემთვის.

მხატვრები მართლა რაღაცით გვანან ერთმანეთს — ისინი სევდიანი თვალებით დადიან.

დრეზდენის გალერეას ბედნიერი ვტოვებდი.

გამოფენის დახურვის შემდეგ დრეზდენის გალერეიის დირექტორმა გადმომცა საჩუქრად ოტო დიქსის საკმაოდ დიდი კატალოგი, რომელსაც ამშვენებს წარწერა „საქართველოს დიდ მხატვარს რუსუდან ტოზაშვილს“.

რუსუდან ტოზაშვილი



სტუმრად გერჰერდ რუდვიგთან —



გასეირნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიმუნის წელიწადი



**1992 — ცვლილებები პოლიტიკაში, აჯანყებები, ბარიკადები — ნუ გაგიკვირდებათ მაიმუნის წელიწადია**

ამ წელიწადს ყველაფერს ელოდეთ, განსაკუთრებით— მოულოდნელობებს. შეიძლება რისკიც გასწიოთ, ყველაფერი შეიძლება. მაგრამ მაიმუნს შეუძლია დროულად შეჩერდეს. ნუ ეცდებით დაკავებული იყოთ საქმეებით. ამ წლისათვის დამახასიათებელია რისკიანი ოინები, უხეში ხუმრობები. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ცვლილებები პოლიტიკაში, რევოლუციები, აჯანყებები, ბარიკადები... მაიმუნი ერთობა. ირგვლივ არეულობაა, ანარქიაა და ვერავინ მოიწყენს. ეს წელი განსაკუთრებით ხელსაყრელია ახალი იდეებისთვის. ისარგებლეთ ამით.

მაიმუნის წელიწადს დაბადებულნი უფრო არასაიმედო და წინააღმდეგობებით სავსე ადამიანები არიან, თანაც ჭკვიანები, მოხერხებულები, მოსაზრებულები და ორიგინალურები. ისინი ადვილად წყვეტენ ურთულეს პრობლემებს. თითქმის არ არსებობს მოღვაწეობის ასპარეზი, სადაც არ შეეძლოთ ფრთების გაშლა, მაგრამ შეიძლება ისინი საქმეს მოწყვიტო და გადაარწმუნო. მათ სურთ ყველაფერი აქვე, ამ წუთშივე შეისრულონ. სულ უბრალო წინააღმდეგობასაც კი შეუძლია განწყობილება გაუფუჭოს, გეგმები ჩაუშალოს. ბევრი მათგანი გაუბედავია, მაგრამ ტემპერამენტიანი და თავნება. ისინი გულფიცხები კი არიან, მაგრამ გულღრძონი არა. გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ. ჯანსაღი გონება აქვთ, თუ ხელს არავინ შეუშლის, შესაძლოა ცნობილნიც გახდნენ.

# მკითხველის გვერდი

ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1991 წლის აგვისტოს (№8) ნომერში დაიბეჭდა მკითხველის წერილი: „რა დავუძახოთ დედამთილს?"

გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

## მისი დედაც მეყვარება

ვარ 19 წლის, გასათხოვარი. გადაწყვეტილი მაქვს დედამთილს დედა დავუძახო. ვინაიდან ის იქნება გამზრდელი ადამიანისა, რომელიც მე მეყვარება. ამიტომ ვალდებული ვარ მისი მშობლებიც მიყვარდეს, რადგანაც იმ ოჯახში სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვიცხოვრო.

ამიტომ ვფიქრობ, დედამთილთან თავიდანვე თბილი ურთიერთობა დავამყარო. მოვუწოდებ ყველა გასათხოვარ ქალიშვილს, თუ უნდათ რომ მომავალში შეინარჩუნონ ოჯახური სითბო, პატივისცემა და სიყვარული, თავიდანვე შთააგონონ თავს, რომ დედამთილს დედა უნდა დაუძახონ.

**მაია ც.**

**თბილისი.**

## ღმერთი არ გაპატიებთ

მე დედამთილი ვარ, მაგრამ ჩემი რძალი, თქვენისთანა უმადური რძლების სიაში არ ითვლება, დედასაც მეძახის და ჯეროვნადაც დაფასებული ვყავარ.

მაშინებს ის, რომ კიდევ მყავს საცოლე ბიჭი. მისმა ცოლმა, რომ თქვენსავით დედა არ დამიძახოს, იმ დღესვე დავტოვებ ოჯახს, გავეცლები იქაურობას.

მაგრამ, როცა თვითონ გახდებით დედამთილები, და ეს პრობლემა გაგიჩნდებათ, მაშინ კი გამწარებული წამოიძახებთ: რა მართალი ყოფილხარ, ჩემო დედამთილო, მაგრამ გვიან იქნება და ღმერთი არ გაპატიებთ ამ ცოდვას.

**ლამარა ბ.**

**ჩოხატაური.**

## პრობლემად ნუ ვაქცევთ

დედამთილს რა დავუძახო? — კითხულობს რძალი. კითხულობს იმას, რაც საკითხავი არ არის თ.უ ქალი მომზადებულია გასათხოვრად, ისიც უნდა იცოდეს: უპრობლემო ოჯახი არ არსებობს, მაგრამ ისეთ უმტკივნეულო საკითხს, როგორიც დედამთილისადმი მიმართვაა, პრობლემად ნუ გადავაქცევთ.

ახალგაზრდა ქალისთვის ახალგაცნობილი ქალბატონისათვის დედის დაძახება იქნებ მართლაც არაა ადვილი, მაგრამ ეს ხომ ტრადიციაა, რომელსაც ვერსად გაექცევი.

ბევრი ხელოვნური თუ ბუნებრივი პრობლემა ახლავს რძალ-დედამთილის ურთიერთობას, მაგრამ რა დავუძახოთ დედამთილს, ამის პრობლემად ქცევა ნამდვილად არ ღირს.

დაუძახეთ მეუღლის დედას დედა, ის ოჯახის დედაა, თქვენი შვილებისთვის დიდი დედა, დიდედაა...

დაუძახეთ დედამთილს დედა, რომ მერე თქვენი რძლისთვისაც არ გახდეს ეს საძნელო და საერთოდ, ფესეთ სიყვარული უფროსებთან.

**ავთანდილ ჩ.**

გორი.



# ვარსკვლავი მაღლა ანთებს...

ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე, რომლის ჭეშმარიტად მაღალმა ხელოვნებამ არაჩვეულებრივად დიდი რეზონანსი გამოიწვია ამერიკელ მსმენელში.

მუნწი ცნობები მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ეუბნება ეს სახელი და გვარი.

1989 წელს ვან კლიბერნის სახელობის მერვე საერთაშორისო კონკურსზე, სადაც 19 ქვეყნის 48 შემსრულებელი მონაწილეობდა, ფინალში გავიდა ექვსი ვაჟი და ერთადერთი გოგონა.

კონკურსის ფინალს მრავალი უცხოელი მენეჯერი ესწრებოდა. ნიუ-იორკელმა მენეჯერმა კაცუკო ჰილიერმა ცოტა ხანში თბილისში ჩამოაკითხა ახალგაზრდა პიანისტს და 1994 წლამდე დაუდო კონტრაქტი.

ასე დაიწყო ელისო ბოლქვაძის შემოქმედებითი მოგზაურობა მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში.

1989 წელი. პირველი ტურნე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, საფრანგეთში. პარიზში, ლუვრის ცნობილ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტით წარსდგა მსმენელის წინაშე. სხვათა შორის, ელისო ბოლქვაძე პირველი ქართველი პიანისტია, რომელსაც პატივი ხვდა წილად დაეკრა ლუვრში.

შემდეგ ფინეთი. ჰელსინკში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა შემსრულებელთა ფესტივალში.

1990 წელი. ამერიკის შეერთებული შტატები. ნიუ-მეხიკოს შტატში, ქალაქ სანტაფეში მონაწილეობდა ბეთჰოვენის სახელობის ფესტივალში.

იმავე წელს ცნობილი ქართველი მელომანის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ავთანდილ მიქაბერიძისა და ბერძენი მეცენატის კოსტა კონსტანტინიდის მიწვევით ათენში ჩაატარა სამი კონცერტი.

1991 წელი. ავსტრია, ვენა და ისევ ამერიკის შეერთებული შტატები. ელისო ბოლქვაძე ჯერ ვაშინგტონში, კენედის ცენტრში ატარებს სოლო კონცერტს, შემდეგ კი ლოს-ანჟელესში, პასადენაში. ერთ-ერთ კონცერტს ესწრებოდა ცნობილი მუსიკისმცოდნე დანიელ კარიაგა, რომლის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის მუსიკალურ სამყაროში. იგი აღფრთოვანებული დარჩა პიანისტის ხელოვნებით. „ელისო ბოლქვაძემ შტურმით აიღო პასადენას დარბაზი. 24 წლის პიანისტმა თავისი ვირტუოზულობითა და ღრმა არტისტიზმით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა" („ლოს-ანჟელეს ტაიმსი").

გავლენიანი მუსიკალური კრიტიკოსის მაღალმა შეფასებამ თავისებური შედეგი გამოიღო. 1991 წლის ნოემბერში ამერიკაში დაგეგმილი რვა კონცერტის რიცხვი თხუთმეტამდე გაიზარდა.

ამერიკის შეერთებული შტატების თხუთმეტ ქალაქში ელისო ბოლქვაძემ კონცერტები ჩაატარა პრაღის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა პეტრ ალტრიხტერი. პროგრამაში იყო სენ-სანსის მეორე კონცერტი.

„ელისო ბოლქვაძის დაკვრა გამოირჩევა რომანტიულობით, სრულყოფილი ტექნიკით, აზრის წვდომის სიღრმით. იგი ჰარმონიულად შერწყმული მუსიკოსია. მას დიდი მომავალი აქვს" („მაიამ თერალდ").

ახლა კი, თავად მუსიკოსს მოვუსმინოთ.

— გასტროლებზე თითქმის ყოველი დღე ისეა დაგეგმილი, რომ ხშირად ჩასვლას და რეპეტიციას ძლივს ვასწრებ, დასვენებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არაფერი შეედრება წუთებს, როცა უცხო ქალაქში, კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, ხედავ ხალხით გადაჭედილ უზარმაზარ დარბაზს, როცა გრძნობ უხილავ ძაფებს, მსმენელთან რომ გაკავშირებს. ყველაფერი ეს აღმაფრენას მატებს მუსიკოსს.

სიურპრიზი მელოდა ჩიკაგოში, ჩემს კონცერტს დაესწრო ცნობილი პიანისტი ბატონი ლექსო თორაძე მეუღლესთან — სიუზენთან ერთად. კონცერტის დაწყებამდე მინახულა, დამამშვიდა, წარმატება მისურვა. შემდეგ კი შინ დამპატიჟა. სიუზენიც მუსიკოსია. უშუალო, ხალისიანი ადამიანია. სამივე ისე გავერთეთ საუბარში, ვერც ვიგრძენით, როგორ გაილია ღამე. დილით უნივერსიტეტში წავედით, სადაც მოლაპარაკების შემდეგ, ბატონ ლექსოს ასისტენტად ჩამრიცხეს. სხვათა შორის, ამჟამად იქ იმყოფება ხაშა კორსანტია.

სასიამოვნო მოგონებად დამრჩა გულთბილი ურთიერთობა პრაღის სიმფონიური ორკესტრის წევრებთან და დირიჟორთან პეტრ ალტრიხტერთან, რომელსაც პირადად მე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დირიჟორად ვთვლი. სწორედ მათმა თანადგომამ დამაძლევინა დამქანცველი მარათონი ამერიკის თხუთმეტ ქალაქში.

— ამერიკაში ბევრი მეგობარი შევიძინე. გულწრფელი ხალხია. რასაც ამბობენ, იმას აკეთებენ. ამდენად მათთან საქმიანი ურთიერთობა ადვილია, მეგობრობა კი — სასიამოვნო. მათთან ძალდაუტანებელი, უშუალო ურთიერთობა შენც განთავისუფლებს უამრავი კომპლექსისაგან...

ამერიკაში დაკვრაც გაცილებით ადვილია. თუმცა პირველად რომ ჩავედი, სხვა მუსიკოსების კონცერტებს დავესწარი და, ჩემდა გასაოცრად, შედარებით სუსტ შემსრულებლებსაც დიდხანს უკრავდნენ ტაშს. ჩემზე არაობიექტური შეფასება ძალიან უარყოფითად მოქმედებს. ცუდ ხასიათზე დავდექი. ვიცოდი, ტაშს მაინც დამიკრავდნენ. ეს კი ბევრს არ ნიშნავდა.

—ტაშის დაკვრაშიც იქნება რაღაც განსხვავება.

— რა თქმა უნდა, როცა მსმენელი ფეხზე დამდგარი ბისზე იწვევს მუსიკოსს, ეს უკვე გამარჯვებაა.

...ის, რაც ელისომ არ მითხრა და პრესტიჟულ ამერიკულ გაზეთში „ლოს-ანჟელეს ტაიმსში" ამოვიკითხე:

„როდესაც ელისო ბოლქვაძეს ხმამაღლა იხმობდნენ ბისზე, აუდიტორიას მხოლოდ ერთი რამ შესთავაზა: შოპენის ეტიუდი, ისეთი სწრაფი, ისეთი ნათელი და მშვენიერი, ოცნებაში რომ წარმოიდგენ".

— შარშან ოქტომბერში სახელმწიფო კვარტეტთან და ქალბატონ ცისანა ტატიშვილთან ერთად მიწვეული ვიყავი ვენაში. იქაური მსმენელი განებივრებულია მაღალი კლასის მუსიკოსების გასტროლებით, ამასთანავე ცნობილია თავშეკავებულობით, აშკარად ვგრძნობდით მათ წინასწარ განწყობას, თითქოსდა, რითი უნდა გაგვაკვირვოთო.

ფრანკის კვინტეტის შემდეგ ოვაციები დიდხანს არ ჩაცხრა, ფეხების ბაკუნიც კი ატეხეს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდ ტონად ითვლება. ყველაზე მომზადებული და ობიექტური მსმენელი, ვფიქრობ, მაინც გერმანიაშია. რასაც ვერ ვიტყვი ფინელებზე. საკონცერტო დარბაზი ნახევრად ცარიელია და ტაშის დაკვრითაც არ იწუხებენ დიდად თავს.

— დაახლოებით იგივე მდგომარეობა ყოფილა, რაც თბილისში...

— არა, რატომ. როცა საზღვარგარეთელი მუსიკოსი ჩამოდის, დარბაზში ნემსის ჩასაგდები ადგილი არ მოიძებნება. ყველა კონცერტის წინ ვღელავ, მაგრამ თბილისში — განსაკუთრებით. შეიძლება არ იყოს პროფესიული მიდგომა და ვცდები, მაგრამ ჩემს განწყობაზე უარყოფითად მოქმედებს, როცა ნახევრად ცარიელ დარბაზში ვუკრავ. ზოგიერთი მუსიკოსისათვის არა აქვს მნიშვნელობა მსმენელთა რაოდენობას. თბილისში ისედაც უამრავი პრობლემაა, ეს იქნება ინსტრუმენტთან თუ დარბაზის აკუსტიკასთან დაკავშირებული. ამას ემატება კონცერტის

დროს გაუთავებელი ლაპარაკი, სიარული და რა გასაკვირია, რომ ამერიკაში მირჩევნია დაკვრა, სადაც 4000 ადგილიანი დარბაზი ხალხითაა სავსე, რომელიც პატივს სცემს მუსიკოსის კატორღულ შრომას. ამერიკაში არ ეზარებათ ტაშის დაკვრა, არ ეჩქარებათ სახლში და ამიტომ არ გარბიან გარდერობისაკენ. ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ეს ფეხზე მდგარი ხალხი მზად არის დილამდე გიცხადებდეს თავის აღტაცებას. მაგრამ ისევ შენ გიფრთხილდება, იცის, რომ დაიღალე. კონცერტის შემდეგ კი, პრესას პირუთვნელი მსჯავრი გამოაქვს, იბეჭდება რეცენზია, რომელიც კარგ გაკვეთილად გამოადგება მუსიკოსს.

ამერიკაში აფიშები ყოველ ნაბიჯზეა გამოკრული, სპეციალური ბუკლეტები გამოდის, მუსიკის მოყვარულებმა სამი-ოთხი თვით ადრე იციან ვინ, როდის, რა პროგრამას შეასრულებს.

და განა გვაქვს უფლება, არ დაიხარჯო მთლიანად, როცა საკუთარ სურათს იხილავ ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც არიან მსტისლავ როსტროპოვიჩი, ბელა დავიდოვიჩი, ივო პოგორელიჩი... დიახ, კარგად იციან თავიანთი საქმე რეკლამის ოსტატებმა. მიუხედავად სიძვირისა (ბილეთები კი მართლა ძალიან ძვირია, 35-დან 55 დოლარამდე ღირს), ბილეთები წინასწარ იყიდება და 3000-4000 ადგილიან დარბაზებში ერთ ადგილსაც ვერ ნახავთ თავისუფალს. ყველა თაობის ადამიანი ესწრება კონცერტებს და ეს არ არის მოდა, მუსიკა მართლა უყვართ და აინტერესებთ, ამერიკაში ყველაფერი გათვალისწინებულია. მუსიკოსს წინასწარ უთანხმდებიან, რამდენი ადამიანის მიღებას შეძლებს კონცერტის შემდეგ. ყვავილების თაიგულიც კი ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეაქვს საგრიმიოროში.

ეს ყველაფერი ამერიკაში ხდება. თბილისში, ჩემს კონცერტებზე აფიშები ან საერთოდ არ არის, ან წინა დღით გამოაკრავენ ერთორ ადგილას. მუსიკოსისათვის უდიდესი შეღავათია, როცა მშობლიური ქალაქის თანადგომას გრძნობს. კარგი რეკლამა უსათუოდ მოიზიდავს მსმენელს და თუ მუსიკოსი იმედს გაუმართლებს, მისი გულშემატკივარი გახდება და შემდეგ თავად გაფაციცდება, რათა არ გამორჩეს საყვარელი შემსრულებლის კონცერტი.

— და ტრადიციული კითხვა — მომავლის გეგმები.

— უახლოეს ხანში დაგეგმილი მაქვს ორთვიანი ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოლო კონცერტები მექნება თურქეთში. მანამდე კი მიწვეული ვარ ჰრალის „მუსიკალური გაზაფხულის ფესტივალში“, სადაც დავუკრავ ჩემთვის კარგად ნაცნობ ჰრალის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

P. S. წერილის ბოლო აკორდად გამოჩენილი მუსიკოსის ვან კლიბერნის სიტყვებს მოვიხმობ:

„ელისო ბოლქვაძის ვარსკვლავი თანდათან მაღლა აიწევს და მას მიესალმება მსოფლიოს ყველა საუკეთესო საკონცერტო დარბაზი“.

**მარინე ნაკაიძე**



რჩევები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, მცირე საწარმოს „ქალური მომხიბვლელობის სკოლის“ დირექტორს ეკატერინე სობჩიკს ეკუთვნის. ის ათი წელი მუშაობდა ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტში, სადაც მხოლოდ გასაჭირში ჩავარდნილი ქალები მიდიან.

გაითვალისწინეთ ეს რჩევები, ძვირფასო ქალბატონებო და თქვენ არავის დახმარება არ დაგჭირდებათ!

# ქალური მომხიბვლელობის სკოლა

### რჩევა 1.

იყავით ბუნებრივი და ენდეთ საკუთარ ალღოს. ხოლო იმისათვის, რომ კიდევ უფრო საინტერესონი გახდეთ, იმუშავეთ საკუთარ თავზე.

### რჩევა 2.

დავიწყოთ სიარულით. რა თქმა უნდა, აუცილებელი არ არის ზუსტად გაიმეოროთ მანეკენის მოძრაობები, მაგრამ მათზე დაკვირვება ზიანს როდი მოგიტანთ. დაიხსომეთ: თუ შემოქმედებითად მიუდგებით, მოხდენილად სიარული თქვენს ღირსებად იქცევა.

და კიდევ: არავითარ შემთხვევაში არ მოიხაროთ მხრებში, ეს სიმაღლეს არ მოგაკლებთ, ულაზათოდ კი მოიკაკვებით. ნუ ინერვიულებთ, თუ მამაკაცზე მაღალი ხართ. ეს მისი პრობლემაა!

### რჩევა 3.

დაჯექით ლაღად. ნუ მიიკუნჭებით სკამის კუთხეში.

### რჩევა 4.

გახსოვდეთ: მამაკაცის მზერას ყოველთვის იზიდავს მოძრავი საგანი. თუ გნებავთ, საუბრის დროს მისი ყურადღება მიიპყროთ, ნელნელა შეიცვალეთ პოზა. მოძრაობა მშვიდი და ნარნარი უნდა იყოს. არ ვარგა ფაციფუცი და წრიალი. თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ყურადღებას, ამიტომ დაეუფლეთ საუბარში პაუზის გაკეთების ხელოვნებას.

### რჩევა 5.

არ გსურთ უსიამოვნო თემაზე გულღიად საუბარი?

მაშინ გამოიყენეთ ინტონაცია. შეიძლება ფრაზა „გამარჯობათ, გეთაყვა, მოხარული ვარ თქვენი ხილვის“ ისეთი ტონით თქვათ, რომ მოსაუბრე უცებ მიხვდეს — გსიამოვნებთ თუ არა მისი ნახვა.

### რჩევა 6.

გახსოვდეთ: გამომეტყველება, ჟესტები აუცილებლად მეტყველნი არიან, და უკეთაც გახასიათებენ, ვიდრე სიტყვები.

### რჩევა 7.

სარკის წინ განასახიერეთ სხვადასხვაგვარი ემოციური მდგომარეობა.

გაბრაზება, სიხარული, სინანული... დაინახოთ და შეიცნოთ საკუთარი თავი, სულაც არ ნიშნავს, მოაკლოთ მას ბუნებრიობა.

თავის შეცნობა დაგეხმარებათ უკეთ იგრძნოთ სიტუაცია, პარტნიორი, დაინახოთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები.

### რჩევა 8.

ნუ შეეჭიდებით მამაკაცურ საქმეს. ამით მამაკაცს პასუხისმგებლობა უღუნდება და შემდგომში იგი შეეცდება საქმის მთელი სიმძიმე თქვენს მხრებზე გადმოიტანოს.

### რჩევა 9.

ისწავლეთ მიაღწიოთ ინდივიდუალობას კოსმეტიკისა და ტანსაცმლის საშუალებითაც. სახლიდან გამოსვლისას გადაწყვიტეთ, ვის განასახიერებთ იმ დღეს — ქარაფშუტა გოგოს, თავდაჭერილ ქალბატონს თუ ვინმე სხვას. სახის ცვალებადობა ძლიერი ფსიქოთერაპიული ფაქტორია.

ყველაზე მთავარი კი გახლავთ იყოთ სხვათა მიმართ კეთილგანწყობილი და თავდაჯერებული. ეს ორი თვისება დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში.



საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოუთხრობელი ამბავი

## ეროვნული ტრაგედიის ფონზე

განადგურდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შენობა... „საქართველოს ქალის“ რედაქციისაგან დაკვეთილი მქონდა წერილი, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში უნდა მიმეტანა... წერილში მინდოდა ჟურნალის მკითხველებისათვის მომეთხრო არაორდინალური პიროვნების, ტომით გერმანელის, სულით ქართველის — რენე შმერლინგის შესახებ, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო ქართული ხელოვნების ძეგლთა შესწავლის საქმეს.

სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში თუ საქართველოს სხვა კუთხეში ალბათ შემორჩნენ უფროსი თაობის ადამიანები, რომელთაც კარგად ახსოვთ ეს ქალბატონი — თხელი, გამხდარი აღნაგობის, დახვეწილი, ცოტათი ექსტრავაგანტური იერისა, პატარა ვიწრო ფარფლებიანი სვანური ქუდით, კოხტად რომ ერგებოდა მის თავს, კეხიანი ცხვირით, ცივი გამჭვირვალე ცისფერი მზერით, ძველებური სამკაულებით — ბეჭდებითა და სამაჯურებით, მუდამ რომ ამკობდნენ მის თითებსა და თხელ მაჯებს. ჩანთაც მუდამ მხარზე გადაგდებული, საველე თუ ყოველდღიური მუშაობის სხვა ატრიბუტები, გარკვეულ წილად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენენ და მე ახლა ველარ ვიტყვი: ის სილამაზე, რენეს ყოველდღიური ცხოვრების აქსესუარებში რომ იყო, განასახიერებდა მანდილოსნის ჩვეულებრივ სიყვარულს სამკაულებისადმი, თუ ეს იყო გაუნელებელი სურვილი ხელოვნებასთან მუდმივი კავშირისა.

იგი დადიოდა სოფლიდან სოფლად საბარგო მანქანით, ურმით, ცხენით, ხშირად ფეხითაც. არ ტოვებდა არც ერთ ეკლესიას, კოშკს, ციხეს, სხვა ისტორიულ ნაგებობას, რომ არ აღენუსხა, არ აეზომა, ფოტოაპარატით არ გადაეღო. რამდენი ხელოვნების ნიმუში გადაურჩენია უპატრონობით დაღუპვისაგან სხვა თავის კოლეგათა მსგავსად და ჩამოუტანია მუზეუმებში.

ამ გადარჩენილი ნივთების ერთ ნაწილს (უმეტესად ეს ქვის რელიეფები იყო) ჩვენი ინსტიტუტის შენობაში ჰქონდა ბინა დადებული. გულმოკლული ახალგაზრდები ახლა ფერფლში ეძებენ და ნაწილ-ნაწილ აგროვებენ გადარჩენილს.

ინსტიტუტში ინახებოდა ქალბატონი რენეს პირადი არქივი, მისი ჯერაც გამოუცემელი ხელნაწერები, მისი არაჩვეულებრივი საველე დღიურები, შევსებული რენესეული წვრილი, კალიგრაფიული ხელით, იქვე არეებზე ჩანახატებით, გეგმებით, ძეგლის აღწერითა და ანალიზით.

ეს არქივი დაიღუპა, დაიღუპა უნიკალურ ფოტომასალასთან ერთად...

მე მინდოდა დამეწერა იმ განუხორციელებელ წერილში — ქალბატონი რენე ბედნიერი ადამიანი იყომეთქი. ალბათ ასეც იყო. მას ჰყავდა საყვარელი მასწავლებელი — გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც აზიარა ხელოვნებათმცოდნის მძიმე, მაგრამ უდახვეწილეს პროფესიას, ჰქონდა საყვარელი საქმე — მხოლოდ ამ საქმით ცხოვრობდა და იწვოდა, ჰყავდა მეგობრები — თანამოაზრეები, ჰყავდა შეგირდები რომელთაც წვრთნიდა: გერმანიას მოშორებულს (იგი საქართველოში დაიბადა და გაიზარდა) არ უგრძვნია სამშობლოს სიშორე — საქართველოსი და ქართველთა სიყვარული ათბობდა. დავწერე ეს სიტყვები და დავფიქრდი — სწორს ვწერ კი? შეიძლება არ იმჩნევდა, თორემ რა მოხდებოდა, რომ თავისი ჭეშმარიტი სამშობლო ენახა, სათაყვანებელი ევროპა, მშობლიურ ენაზე დალაპარაკებოდა თვისტომს?

ღმერთო, რა საშინელებები გვაქვს გამოვლილი, და რა მძიმედ ვცხოვრობთ დღესაც.

ახლა კიდევ უფრო მჯერა: იმიტომაც იყო კიდევ ბედნიერი, რომ არ მოესწრო ჩვენი ინსტიტუტის დაწვას და ნაცრად ქცევას...

ამ ავბედითი ახალი წლის დღეებამდე უკანასკნელ ხანს დროის უკმარისობის გრძნობა მდევდა. იმის შემდეგ, რაც ინსტიტუტს თავს დამტყდარი უბედურების ამბავი შევიტყვე, უამრავი დრო გამიჩნდა...

1991 წელს ინსტიტუტს არსებობის 50 წელი უნდა აღენიშნა. რთული სიტუაციის გამო თარიღის აღნიშვნის ვადა რამდენჯერმე გადაიდო...

აწ უკვე დამწვარია უნიკალური ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი, ძეგლების ანაზომები, ფოტოები, ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, ცალკეულ პიროვნებათა ნაშრომები და არქივები, ძვირფასი კომპიუტერული ტექნიკა. წარმოუდგენელია სრული ჩამოთვლა დანაკარგისა: ბევრი რამ უკვალოდ გაქრა, დაიღუპა ისე, რომ ვერაფრით ველარ შეიცვლება.

ყოველ დღე, ყოველ საათს გონება აღნუსხავს კიდევ ერთ დანაკარგს... მაგრამ ყველა იმ დანაკარგის გვერდით, რაც ხელოვნების ისტორიის სფეროს შეეხება, არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი — ამ ინსტიტუტში კულტურული, ინტელიგენტური გარემო სუფევდა, ის ატმოსფერო, რომლის მიმართ სიძულვილს ასე გეგმაზომიერად უნერგავდნენ ბოლო ხანებში ადამიანებს. კიბეებზე ამოსულს თუ ლიფტიდან გამოსულ ადამიანს ინსტიტუტის ჰოლში ეგებებოდა მოძღვრის პორტრეტი (მისი მოწაფის ვახტანგ ცინცაძის ფოტო) — გიორგი ჩუბინაშვილი, დახვეწილი, ნატიფი მოაზროვნე შუქნათელი თვალებით, შემობრუნებული ჩვენსკენ მცხეთის სვეტიცხოვლის კარიბჭის ფონზე. ეს სურათიც დაიწვა...

დღეს ინსტიტუტში მკვლევართა რამდენიმე თაობაა. მუშაობენ „დამაარსებლები“, ისინი, ვინც გვერდით ედგნენ ბატონ გიორგის ინსტიტუტის შექმნისას (ბატონ ვახტანგ ბერიძესთან ერთად ქალბატონი რუსუდან მეფისაშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, უნივერსიტეტში მუშაობს ბატონი პარმენ ზაქარაია); მათთვის ალბათ ყველაზე მეტად მძიმეა, რაც მოხდა. მაგრამ შეიძლება კი ითქვას, რომ ეს ტრაგედია ნაკლებ მძიმეა იმ საშუალო ასაკის ადამიანებისათვის თუ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ცეცხლში დაკარგეს ყველაფერი, რაც წლების მანძილზე უკეთებიათ?

რა უნდა ვთქვათ?, რით ვინუგეშოთ თავი? ჩვენი ინსტიტუტის დაწვა ხომ იმ დიდი უბედურების ნაწილია, რაც დაატყდა თავს მთლიანად საქართველოს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ფერმკრთალდება ახალგაზრდობის თითოეული წვეთი სისხლის, თითოეული სიცოცხლის დაკარგვის ფონზე...

ამ უმძიმესმა განსაცდელმა იქნებ მეტად დაგვაფიქროს და გონიერი მომავალი გვაშენებინოს?

ინგა ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეპისტოლე

ჩვენს თვალწინ ქრება ეპისტოლარული ჟანრი ლიტერატურაშიც და ცხოვრებაშიც. ადამიანები იშვიათად წერენ ერთმანეთს. სატელეფონო გზებზე იფანტება სიტყვები. არაფერი რჩება ქაღალდზე — არც განცდა, არც ტკივილი, არც სიყვარული.

წარმოიდგინეთ, რომ არ არსებობდეს ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის მიმოწერა. რამდენი სალებავი დააკლდებოდა ილიას სულიერ პორტრეტს. ზოგჯერ ამ ბარათებში ამოკითხული ორი სტრიქონი უფრო ბევრს გვეუბნება პიროვნებაზე, ვიდრე სქელტანიანი გამოკვლევა მის შესახებ.

ყველა დროს თავისი გამორჩეული თვისება აქვს — სხვაგვარია ცხოვრება, სხვაგვარია ურთიერთობა, მეტყველება, საზოგადოებრივი ეტიკეტი, სხვაგვარია სიყვარულის გამჟღავნების მანერა.

ეპისტოლარული ჟანრი ნებისმიერი ერის ლიტერატურას ამშვენებს. ბევრი რამ არის გამხელილი ამ წერილებში ისეთი, რასაც შეუძლია წამიერად გააცოცხლოს მთელი ეპოქა და ჩვენც გვაგრძნობინოს იმ დროის სურნელი.

ჩვენ დროდადრო შემოგთავაზებთ დიდი ადამიანების მიმოწერას, რათა ცოტა ხნით მაინც დავიბრუნოთ რომანტიული განწყობილება, რომელიც მეოცე საუკუნის დასასრულს ასე გვაკლია ადამიანებს.

# ბერნარდ შოუს თეატრალური რომანი

„სწორედ ამ წუთში მივიღე თქვენი წერილი. თურმე ოკეანის გადმოლახვა განგიზრახავთ და ჩემთან ცხოვრებას აპირებთ. ზუსტად ასეთივე სურვილი უჩნდებოდათ სხვა ქალებსაც. მათსავით ალბათ თქვენც დაუყოვნებლივ და სამუდამოდ უნდა ამოიგდოთ ეგ აზრი თქვენი განუსჯელი გონებიდან. ჩემთან უკვე აღარასოდეს არც ერთი ქალი აღარ იცხოვრებს.

მე დიდი, ღირსეული ადამიანი ვარ და მშვიდად ვატარებ წუთისოფელს სახლში, რომელიც უკვე გადავეცი ნაციონალურ ტრესტს. თუ თქვენ მართლაც ჩამოხვალთ და თუნდაც ერთ დღეს დარჩებით ჩემთან, მე იძულებული ვიქნები იარაღი ვიხმარო. თუმცა, შესაძლოა, სროლა აღარც დამჭირდეს, ჩემი ირლანდიელი მოსამსახურე ქალი ისე მკვახედ გაგისტუმრებთ, და თქვენ ველარასოდეს მიხილავთ, ვერც ვერაფერს გაიგებთ ჩემს შესახებ. ახლა უკვე იცით ეს, ძვირფასო მოლი და ვიკმაროთ.

აი, დღას თავის კარებთან, ელის თქვენს წერილებს და სალამს გიძღვნით 93 წლის მოხუცი ბერნარდ შოუ“.

ხომ არ გაგახსენდათ ნაცნობი ინტონაციები „პიგმალიონიდან“? ასეთი პარალელები თავისთავად ჩნდება, როცა კითხულობ ეპისტოლარული ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშს — ბერნარდ შოუს პირად წერილებს. ამ წერილებში ადვილად ამოიცნობთ შოუს პიროვნებას.

დიდი ინგლისელი მწერალი „საუკუნის ადამიანი“, როგორც მას ხშირად უწოდებენ მკვლევარები, პირად წერილებში სულ სხვა კუთხით გამოჩნდა. აქ იგრძნობა მისი ხასიათის ყველა თვისება — ადამიანური სისუსტეც და ღირსებაც. დღემდე არ არსებობს ამ წერილების მთლიანი კრებული. მათი აღრიცხვა შეუძლებელია. სიკვდილის წინ შოუმ თავისებური ირონიით გააფრთხილა გამომცემლები: — თავი დაანებეთ ამ ფუჭ საქმეს: ჩემი წერილები მილიარდობით იქნება თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ყოველ დღე კიდევ ახალს ვუმატებო.

რა თქმა უნდა, მწერალი აზვიადებდა, მაგრამ ესეც მისი თვისება გახლდათ. შესანიშნავი ლიტერატორი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, შეუდარებელი ორატორი, პოლემისტი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, კაცი, რომელსაც შეეძლო სერიოზულ საგნებზე არასერიოზულად წერა, ბუნებრივია, იუმორს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუცვლელ ძალად მიიჩნევდა. აკი მისწერა კიდეც ტოლსტოის: „თქვენი აზრით, მე ნაკლებად სერიოზული ადამიანი ვარ, მე ვაიძულებ პუბლიკას ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი გაიცინოს. რატომაც არა! რატომ უნდა ვთქვათ უარი იუმორსა და სიცილზე. დავუშვათ, ჩვენი სამყარო მართლაც ღმერთის მორიგი ხუმრობაა. თუნდაც ამისთვის ღირს ამ ხუმრობის გაკეთილშობილება“.

წერილების ამ ოკეანეში ერთ-ერთი უკანასკნელი აღმოჩნდა ბარათი, რომელიც 93 წლის ბერნარდ შოუმ გაუგზავნა ცნობილ ინგლისელ მსახიობ ქალს სტელა პატრიკ კემბელს. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ათეული წლების მანძილზე სტელას მისამართით იგზავნებოდა ბერნარდ შოუს ბრაზით, ეჭვით, სიყვარულით აღსავსე წერილები. ასე შეიქმნა სასიყვარულო ბარათების მთელი თაიგული ანუ ბერნარდ შოუს თეატრალური რომანი.

„სონეტების შავგვრემანი ლედი“ — ნახევრად იტალიელი, ნახევრად ინგლისელი, ბოშა ქალის ცეცხლოვანი თვალებითა და მშფოთვარე ბუნებით — სამუდამოდ დარჩა დიდი მწერლის შემოქმედებაში. მათი პირადი მიმოწერა კი საინტერესო მასალა გამოდგა ახალი დრამატული ნაწარმოებისათვის. დრამატურგმა ჯერომ კილტმა დაწერა დოკუმენტური დრამა „მომხიბლავი მატყუარა“, რომელიც აცოცხლებს ამ ორი ადამიანის ურთიერთობას.

შოუს თეატრალური რომანი „პიგმალიონით“ დაიწყო. თავიდან მეგობრებს გაუკვირდათ კიდეც, — რატომ აირჩია ელიზა დულიტლის, თითქმის გოგონას როლში 49 წლის სტელა კემბელი. შოუს მოსწონდა მსახიობის

მახვილი გონება, რომელიც ცოცხლად აღიქვამდა იუმორის ყველა ნიუანსს. იმ დროს ინგლისის თეატრში სტელას ბადალი არ ჰყავდა როგორც მოაზროვნე, ძლიერი, რთული და უცნაური ქალების როლების შემსრულებელს. დაუდევარი, ფიცხი ბუნების ადამიანი იყო. არავინ იცოდა, როდის რას მოიმოქმედებდა. შეეძლო პრემიერის წინ უარი ეთქვა როლზე და აღარ ეთამაშა. აი, ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ქალით მოიხიბლა ბერნარდ შოუ და სურვილიც ჰქონდა თავისი თეატრის მკვიდრად ექცია, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ორივე საკმაოდ ჯიუტი და პრინციპული ადამიანი იყო. მოგვიანებით სინანულით გაიხსენა სტელა კემპბელმა „პიგმალიონის" რეპეტიციები.

„ბოლოს და ბოლოს, იმის გამო, რომ თქვენ არ გინდოდათ ჩემი თავგანწირული შრომის დაფასება, დადგა გადამწყვეტი წუთი. მე ფეხები დავაბაკუნე და ფარშევანგის ხმით დავიყვირე; — თუ მისტერ შოუ არ დატოვებს თეატრს, მე წავალ. მაშინ თქვენ აკრიფეთ ქაღალდები და საკუთარი ღირსების არაჩვეულებრივი შეგრძნებით გაამაყებული წახვედით. მე რომ შემძლებოდა ატირება და გამოდევნება, ჩემი კარიერა ალბათ სხვაგვარად წარიმართებოდა".

„პიგმალიონმა" მართლაც ბზარი გააჩინა ამ ორ ხელოვანს შორის. ჯერ ბერნარდ შოუ ეხვეწებოდა სტელას, მხოლოდ მის თეატრში ემუშავა, ის კი გამომწვევად იქცეოდა, სხვა ავტორებს ირჩევდა. შემდეგ თითქოს როლები შეიცვალა, მაგრამ შოუმ სისასტიკე გამოიჩინა — სტელა თავის თეატრში აღარ მიუწვევია, თუმცა, ამ ქალის სცენური სახე და ხასიათი მისი თითქმის ყველა პიესის პერსონაჟებში იკითხება. უკვე საკმაოდ ხანდაზმული ბერნარდ შოუ ხუმრობანარევი სერიოზულობით სწერს სტელა კემპბელს:

„ჩვენ ორივენი ჯამბაზები ვართ. მიკვირს, თქვენ ჩემგან რატომ ვერაფერი სარგებელი ვერ ნახეთ, მაშინ, როცა მე ექსპლუატაციას გიწევდით — თქვენი წყალობით ბევრი ფული ვიშოვნე, ორი სცენური სახე გამოგტყუეთ და ალბათ კიდევ ერთ ექვსს გამოვძერწავ თქვენი მრავალმხრივი ნატურის იმედით".

ჯერ კიდევ მაშინ, როცა „პიგმალიონზე" მუშაობას იწყებდნენ, ყველა ამჩნევდა, თუ რა ძალით შემოიჭრა სტელა ბერნარდ შოუს ცხოვრებაში. დრამატურგი თვით მსახიობის ბუნებიდან და ხასიათიდან ქმნიდა ელიზა დულტლის სახეს, რეპეტიციების დროს ხვეწდა, ავსებდა და ამდიდრებდა ტექსტს. ეს როლი მხოლოდ სტელა პატრიკ კემპბელისათვის დაიწერა და ამის დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო. სწორედ ამ პერიოდში სტელა ავტოკატასტროფაში მოხვდა. რეპეტიციები კარგა ხნით შეწყდა. საფრანგეთში სამკურნალოდ ჩასულ სტელას შოუ უგზავნის „პიგმალიონის" კორექტურას და თან აფრთხილებს:

„საკმარისია წაიკითხოთ და თქვენ უკვე დაღუპული ხართ. იმავე წამს ჩემს ფეხქვეშ იქნებით განრთხმული და თქვენს მშვენიერ შავ თმას ჩემი ყავისფერი შტიბლეტების ხხივი გაახუნებს".

ამგვარი ოხუნჯობითაც ვერ ნიღბავდა იგი თავის გრძნობებს და ხანდახან ამგვარ სტრიქონებსაც გამოურევდა ხოლმე: „სტელა, სტელა, ჩრდილოეთის ზარები მელოდიურად რეკავენ ათასობით წერილს, რომელსაც მე გიგზავნით. ამიერიდან მე ვეღარ გამოვჯობინდები თქვენი სიყვარულისგან. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ჯოჯოხეთი იქ არის, საიდანაც იწყება ძალა, ახლა ვამბობ, საიდანაც ძალა იღებს სათავეს, სამოთხეც იქ არის. ამიტომ მადლობას ვწირავ განგებას, რომ თქვენ არსებობთ. ასეთია ირლანდიური ეპისტოლარული ფორმულა".

ბერნარდ შოუს არ შეეძლო დიდხანს ელაპარაკა სანტიმენტალურად. იგი იმავე წერილში ბობოქრობს „არა, ასე არ შეიძლება, ასეთი ჰარმონია მე გონებასუსტად მაქცევდა. ჩვენს მუსიკაში აუცილებელია დისონანსები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მალე მოგწყინდებათ".

დისონანსებმაც არ დააყოვნეს. 1914 წლის 11 აპრილს ლონდონში „მისი უდიდებულესობის თეატრში" გაიმართა „პიგმალიონის" პრემიერა. მსახიობთა თამაშით უკმაყოფილო დრამატურგი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის სტელას:

„ვიდრე თქვენ არ მიაგნებთ სწორ ნოტებს, მე ვერასოდეს ვაღიარებ, რომ თქვენ ძალგიძთ ითამაშოთ ელიზა, ითამაშოთ ბერნარდ შოუს გმირები. მე ჰიგინსსაც გავუგზავნე წერილი, რომელიც ან მოკლავს ან გაამხნევებს. მე არ მიყვარს ბრძოლა, მე მიყვარს გამარჯვება. დადგა დრო, როცა თქვენ ხმალშემართულმა უნდა იბრძოლოთ. მე ისედაც გამარჯვების ნახევარი ძალით თავს მოგახვიეთ".

იმავე წელს „პიგმალიონი" ამერიკაშიც დადგა. იქაც სტელა კემპბელი თამაშობდა ელიზა დულიტლის როლს. იგი დიდხანს დარჩა ამერიკაში, მაგრამ ბერნარდ შოუსა და სტელას შორის მიმოწერა არ შეწყვეტილა, არც მათი ურთიერთობა შეცვლილა — უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ძვირფასი ადამიანისაგან მიღებული ყოველი ბარათი სიცოცხლის ხალისს მატებდა ქალს. იგი შეჩვეული იყო მეგობრის მწარესიტყვაობას, რომლის მიღმა ყოველთვის იგრძნობოდა შეყვარებული ადამიანის გული, როცა რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ იხილა სცენაზე უკვე სხვა რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლში, შოუ თითქმის კმაყოფილი დარჩა მისი თამაშით, მაგრამ შენიშვნებით სავსე ბარათი მაინც გაუგზავნა:

„ახლა შეიძლება დავიჯერო, რომ თქვენ ელიზა ხართ. მწყინს კიდეც, — თქვენ ჩემთვის ასე არ გარჯილხართ. მე ხომ ასე მაკლდა ძლიერი ფორტისიმო, ჩქარი ალეგრო, მკვეთრი მოსახვევები და მწვავე კონტრასტები „პიგმალიონში", ჰიგინსიც აღარ იყო ისეთი უხეში, როგორიც მე ვიყავი ოდესღაც თქვენდამი. და მაინც, თქვენ დაკარგეთ რაღაც. მეჯლისიდან დაბრუნებული, ვიდრე ჰიგინსი თავის გესლიან სიტყვებს იმეორებს, თქვენ საშობაო ბარათივით დახატული ზიხართ როიალთან და ფოსტლებსაც ისე ფრთხილად ესვრით, — ღმერთმა ნუ ქნას, რომ შემთხვევით მოხვდეს ჰიგინსს! და ისიც, რა დელიკატურად წამოგაყენებთ დაჩოქილს! კინაღამ ჩამეძინა ამის შემყურეს. ასე იქცევით თქვენ, რომელსაც შეგიძლიათ ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალოთ სცენაზე".

მეგობრის მიერ გამოგზავნილი სუსხიანი ბარათი აღიზიანებდა მსახიობს, რომელსაც თაყვანისმცემლები და ქება-დიდება არ აკლდა. თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ შოუს თეატრის პრინციპები ახლებურ თამაშს, ღრმა ფილოსოფიურ და ესთეტიკურ განზოგადებას მოითხოვდა მსახიობისაგან. იმ ხანებში ბერნარდ შოუმ გაუგზავნა სტელას თავისი ახალი პიესა, „სახლი, სადაც იმსხვრევიან გულები". სტელამ არ დაინდო მეგობარი და საკმაოდ მწარედ უპასუხა: „თქვენ თანდათან კარგავთ პატივისცემას ადამიანებისადმი, საკუთარი პერსონაჟებისადმი. თქვენს ხელში ისინი გარდაიქმნებიან უძვლო, უხორცო, უსიცოცხლო არსებებად. მე ვიგრძენი უწესრიგობა იქ, სადაც თქვენ შესაძლოა შთაგონება გამოქმედებდათ".

ასე ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ერთმანეთის შემოქმედებას, ასეთი გულწრფელი იყო მათი დაუსწრებელი დიალოგები. სხვათა შორის, ამ პიესის მთავარ პერსონაჟში ყველამ შეიცნო სტელა კემპბელის თვისებები.

როდესაც ხანშიშესულმა სტელა პატრიკ კემპბელმა გადაწყვიტა ამ წერილების გამოქვეყნება, შოუ აღშფოთდა. მას არ უყვარდა ამგვარი პუბლიკაციები. — მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ, — ასეთი იყო მისი გადაწყვეტილება. შოუსთვის მეტისმეტად ძვირფასი იყო ეს წერილები, მას არ სურდა, რომ ისტორიაში მათი სახელები ჭორებისა და ცილისწამების ნიშნით შესულიყო. მაინც გაუგზავნა ყველა წერილი საავტორო უფლებით, ოღონდ ეს მიმოწერა 50 წლის შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო.

სტელას მადლობის ბარათი ასე მთავრდებოდა:

„50 წლის შემდეგ ადამიანები ცაში იცხოვრებენ. აღარავინ წაიკითხავს წიგნებს, რომლებშიც არის გონებამახვილობა, სიბრძნე, სილამაზე, დრამა, პოეზია. მაგრამ თქვენს წერილებს ვერ დაივიწყებენ, რადგან თქვენი ბაგეებით შაშვის გალობა ისმის. დიდი ამბავი — 81 წელი! გაიხსენეთ რამდენი წლისაა შაშვი. ალბათ 81 ათასისა და შესაძლოა უფრო მეტიც".

„სონეტების შავგვრემანი ლედი", ყოველთვის გრძნობდა ბერნარდ შოუს ტალანტის სიდიდეს. დისონანსებით აღსავსე მათი ურთიერთობაც „პიგმალიონის" უსასრულო ვარიანტების ასოციაციას იწვევს. თითქოს ორივენი უნებურად აჰყვნენ ელიზასა და მისტერ ჰიგინსის როლებს, სპექტაკლს, რომელიც მათი შეხვედრის პირველი დღიდან დაიწყო და მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდა.

**ლილი ბერაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები



# ნანი — ლამაზი ქალი

„თითოეულ თქვენგანს შეუძლია მემანეკენე გახდეს“. როცა გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთში „ბილდ დე ფრაუ“ გამოქვეყნდა განცხადება მემანეკენეთა კურსების შესახებ, ჟურნალისტმა ნანი ულიჰენმა უფრო ახალგაზრდად იგრძნო თავი. „იცი, მემანეკენეს ამპლუა, ალბათ, ჩემი 25 წლის ქალიშვილს უფრო შეშვენის, — გამომიტყდა ნანი, როცა ჰამბურგის ცენტრში, აქსელ შპრინგა პლაცზე, რედაქციაში შევხვდით ერთმანეთს.

— მაგრამ ხომ ყველა ქალს უნდა, ლამაზი იყოს! სარეკლამო განცხადების დაპირებით, გალამაზება სულ რაღაც ორ დღეში შეიძლება. და თანაც ათას მარკად. თუ თქვენ ახლა ამ თანხას ჩვენ „ხის“ ფულზე გადაიყვანთ, ფანტასტიკურ რიცხვს მიიღებთ. გერმანიაში კი ათასი მარკა ფული არ არის. თუმცა მარკა, ერთი მარკა, მტკიცე ვალუტა გახლავთ. გერმანელი, ვიდრე მარკას დახარჯავდეს, უსათუოდ კარგად დაფიქრდება. ნანი ამბობს, რომ ერთ წუთსაც არ იყოყმანებს, ისე გადაიხდის მემანეკენეთა კურსების საფასურს. და მას დაეჯერება — ნანი, „ბილდ დე ფრაუს“ რედკოლეგიის წევრი, ხომ კურსების შესახებ რეპორტაჟების სერიის გამოქვეყნებას აპირებდა და ამიტომაც ფინანსური სიძნელეები არ ემუქრებოდა.

მაგრამ განცხადებას ათასობით სხვა ქალიც გამოეხმაურა გერმანიის ყველა კუთხიდან, მათ შორის ისეთებიც, ვისაც ისე დიდი შემოსავალი არა აქვს, როგორც ჟურნალისტებს (დასავლეთში ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ანაზღაურებადი პროფესიაა). კურსებზე პრაქტიკულად ყველას იღებდნენ — ასაკის, წონის, სიმაღლის, ბიუსტის ზომის ან ფეხების სიგრძისგან დამოუკიდებლად.

რას ასწავლიან მემანეკენეთა კურსებზე? ასწავლიან ლამაზ-ნარნარ მოძრაობას, ზურგის ლამაზად — გამართულად ჭერას, ლამაზად — შესაფერისად ჩაცმას, მაკიაჟის ლამაზად, ზომიერად წასმას. ერთი სიტყვით, ლამაზ ქალად ყოფნას ასწავლიან.

ათი კვირის თავზე, საბოლოო ჯამში 100 საათის სწავლის შემდეგ ნანი ულიჰენმა გამოცდები ჩააბარა და საერთაშორისო სერტიფიკატი მიიღო, რომელიც მემანეკენედ მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

ნანი იცინის, როცა ვეკითხები, სამუშაოს გამოცვლას ხომ არ აპირებ მეთქი და მეუბნება, რომ არც იმ ქალების უმრავლესობა არ აპირებს „სერიოზულ“ მემანეკენობას, მასთან ერთად რომ სწავლობდნენ კურსებზე. ჟურნალის გარეკანის ქალივით ლამაზი კი, დიახაც რომ ყველა ქალს უნდა იყოს. მეტი არაფერი..

არ იფიქროთ, თითქოს სილამაზე ის ერთადერთი პრობლემა იყოს, გერმანიაში ქალებს რომ აწუხებს. არა, არა, უბრალოდ, ისინიც ისევე ისწრაფიან, მიმზიდველები იყვნენ,როგორც ჩვენ, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ასეთი საერთო პრობლემა არც თუ ბევრი აღმოგვაჩნდება. ნანის აინტერესებს, რა ღირს ჩვენთან პური, ხორცი, ჩასაცმელ-დასახური; მეკითხება, როგორ ვახერხებთ ოჯახის გამოკვებას და შვილების გაზრდასაც კი მაშინ, როცა მაღაზიებში არაფერია. ცარიელი დახლები ძნელი წარმოსადგენია მისთვის. ნანი არასდროს ყოფილა ჩვენთან. მისი კითხვები ზოგჯერ ჩიხში მაყენებს. „ერთი მითხარი — მეკითხება ის, — როგორ, ყოველთვიურ დახმარებას იღებს ქვრივი ქმრის გარდაცვალების შემდეგ? თუ ოჯახს ქმარი ინახავდა, ცოლი კი არ მუშაობდა, რა უნდა ქნას მან უქმროდ?“ „როგორ — გულწრფელად უკვირს ნანის, — ქმარი არ ესწრება ცოლის მშობიარობას? საბრალო, მაშ ასეთ მომენტში მარტოა?“ რას ნიშნავს „წყალი არ არის“, „დენი არ არის“? კი მაგრამ ან ერთი სად მიდის, ან მეორე?“

მაგრამ ყველაზე მეტად ნანი ჩვენმა ტრადიციებმა გააოცა, რომელთა აღწერას, ცხადია, მოკლედ, მე გაზეთ „ბილდ დე ფრაუს“ ფურცლებზე შევეცადე. გერმანიაში ახალგაზრდები იშვიათად ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. 16-17 წლის ასაკში ისინი დამოუკიდებლად ცხოვრებას — სწავლას ან მუშაობას — იწყებენ, და, როგორც წესი, მამისეული სახლიდან მიდიან. მშობლებს ხშირად არ ხვდებიან — როგორც შემოსავალი და დრო აძლევს საამისო საშუალებას — შობას კი აუცილებლად ერთად არიან. ახალგაზრდობა პირად ცხოვრებასაც დამოუკიდებლად აგებს, უფროსების მეურვეობის გარეშე. იშვიათად შეხვდები ახალგაზრდა გერმანელს, რომელიც 20 წლის ასაკში მოპირდაპირე სქესის თანატოლთან ოჯახურად არ ცხოვრობდეს. რა თქმა უნდა, ეს ჯერ ოჯახი არ არის, როცა ორი ახალგაზრდა ერთად ცხოვრობს, მაგრამ უცხო ქალაქში მარტო ცხოვრებას მაინც ჯობია. მე მესმის, როგორი ძნელია გერმანელი მკითხველისთვის, წარმოიდგინოს ჩვენი ტრადიციული ცხოვრება „გერლ — ფრენდისა“ და „ბოი — ფრენდის“ გარეშე. სპეციალისტთა აზრით, უფრო ხშირად სწორედ ის ოჯახები ინგრევა, სადაც მეუღლეებს ქორწინებამდე ერთად ცხოვრების გამოცდილება არ გააჩნიათ და აქ სჯერათ სპეციალისტებისა, მაგრამ დანგრეული ოჯახები, ისევე როგორც მარტოხელა ადამიანები, აქ, დასავლეთში, ჩვენზე ნაკლები სულაც არ არის.

თუ ჩვენთან საქართველოში, ქალი ქალია, კაცი კი კაცი, გერმანიაში ცხოვრების სტილზე ეს არ ითქმება, ეს დიდშიც იგრძნობა და მცირეშიც. არ არის მხოლოდ „ქალური“ და მხოლოდ „კაცური“ პროფესიები, მოვალეობები, ყბადაღებული თანასწორობა ჩვენს შორის აქ მთელი თავისი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი. მამაკაცი პალტოსაც იშვიათად მოგაწოდებთ, თავის წინაც იშვიათად გაგიშვებთ და ტრამვაისა ან მეტროშიც იშვიათად გადაიხდის თქვენს მაგიერ. და ქალებიც ამას, როგორც წესს, ისე აღიქვამენ. ჩვენ ხომ თანასწორები ვართ! და სამზარეულოში ქმარიც ისევე ირჯება, როგორც ცოლი, ხოლო თუ მას უკეთესად გამოსდის, უფრო მეტადაც კი.

— როგორები არიან თქვენი ქალები? — მეკითხება ნანი ულიჰენი. — ლამაზები, — ვპასუხობ მე.

**პეპი ბოჭორიშვილი,**
ჰამბურგი.

# არ უწერია გადაშენება

# მშვენიერთა



● მერი ქარცხია-ფლენტის

ს

სტუმართმოყვარე საქართველოს კარი ყოველთვის ღია იყო მოგზაურთათვის. საიდან არ მოდიოდნენ ისინი. უკან გაბრუნებულები სხვადასხვაგვარად აღწერდნენ ნახულსა თუ გაგონილს, მაგრამ ქართველი ქალის სილამაზის შეფასებაში ყველა ერთსულოვანი იყო!

ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი აფზალ-ელ დინ ხაკანი (1120-1199) ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში. საქართველოში იგი ხანგრძლივად დარჩა. როგორც თვითონ წერს: „ამ ხუჭუჭთმიანი, სახენათელი ქალის გულისათვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი"-ო.

მე-17-ე საუკუნის სპარსი ისტორიკოსი ნაჯიძ ჰამადანელი აღნიშნავს: „თბილისელი ქალები ლამაზნი და მშვენიერებით აღსავსენი არიან".

გამოჩენილი პოეტი ვაგიფი ლექსებში „ქართველი ქალი" და „თბილისი" მრავალნაირად ამკობს უჩადრო ლამაზ სახეებს.

რომაელი მისიონერი პატრი პავლე მარია ფაიანცელი დომინიკიანი თავის 1621 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს სამეფოთა შესახებ" წერდა: „ქართველი დედაკაცები ტანმაღალი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან. ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით, თან დააქვთ მშვილდ-ისარი და კაპარჭი".

მე-17-ე საუკუნეში პატრი პიეტრო დელა-ვალეს სპარსეთში უმოგზაურია, უნახავს სპარსეთში გადასახლებული ქართველები. „იქ არ არის იმისთანა დიდკაცი, რომელსაც არ სურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ისინი ყველანი მშვენიერები არიან".

ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, ვერ მალავდა ქართვე-



● ნინო წერეთელი



● ნინო ოქრომჭედლიშვილი



● მარიამ კურცხალია



● ნინო დადეშქელიანი



● დოდო ხანთაძე

# სავანე

ლი ქალების სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებას და სამშობლოში დაბრუნებულს დაუწერია: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა მთელს მსოფლიოში. იქ არ მინახავს ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვას ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალის სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა. ქართველი ქალები არიან საკვირველად აგებულნი და წელში გასაოცრად წვრილნი, ბუნებით მეტად ნიჭიერნი. მახვილი გონებისანი, ზრდილნი, თავაზიანნი, თავმომწონენი. ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი. მათ დიდად მოსიყვარულე გული აქვთ".

კათოლიკე მღვდელი იოსებ დელა პორტი, რომელიც თბილისში ყოფილა 1768 წელს, წერდა: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს, მე იმათ რომ ვუცქერდი, უნებლიეთ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას, შეიძლება კაცმა უწოდოს მშვენიერთა სავანე, ამას არ ვაზვიადებ".

სხვაც უამრავი ცნობა მოგვეპოვება თბილისელ არისტოკრატ ქალებზე. ასე რომ, მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. თავად მიხვდებით ამ მშვენიერ მანდილოსანთა პორტრეტების ხილვისას, რომ ლამაზ ქართულ გენს არ უწერია გადაშენება.

ტექსტი მოამზადა და ფოტო-მასალები მოიკვლია

**დამანა მდივნიშვილმა**



ლამარა აბაშიძე



მარიამ იშხნელი



თამარ იშხნელი



ნათია ამირეჯიბი



როდამ ამირეჯიბი



ელენე უროტაძე

# კულინარია

## კომშიანი კარტოფილი

დაბალ, ბრტყელძირიან ტაფაში ნახევარ ჩაის ჭიქა ზეთში ან 3-4 სუფრის კოვზ ერბოში მოშუშეთ 2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი პამიდორის პასტა და კვლავ შუშეთ 1-2 წუთი. შემდეგ მოშუშული ხახვი გადმოიღეთ თეფშზე, ქვაბის ძირი მოფინეთ გათლილი, ძალიან თხელ ნაჭრებად დაჭრილი (3 დიდი კომში) კომშით, ზემოდან დაფარეთ მოშუშული ხახვით, მოაყარეთ მცირეოდენი მარილი, მსხვილ სახეხზე დახეხეთ 3-4 კარტოფილი, და ამით დაფარეთ კომში და მოშუშული ხახვი; კვლავ მოაყარეთ მცირეოდენი მარილი, დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და შედგით გაზქურაში ან დადგით ნაზ ცეცხლზე იმ დრომდე, ვიდრე წყალს მთლიანად არ დაიშრობს. სუფრაზე მიტანისას მოაფრქვიეთ შავი პილპილი.

## სტაფილო კვერცხით

2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ნახევარ ჩაის ჭიქა ზეთში ან 2-3 სუფრის კოვზ ერბოში, მოშუშულ ხახვს დაუმატეთ 300-400 გრამი მსხვილად დახეხილი სტაფილო და განაგრძეთ მოშუშვა (8-10 წუთი). კარგად მოშუშვის შემდეგ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა, ოხრახუში (თუ გაქვს 3-4 ღერი ახალი ხახვიც). მცირეოდენი შავი პილპილი, მოასხით ზემოდან 3-4 ათქვეფილი (თუ გნებავთ მთელ-მთელი) კვერცხი და შედგით გაზქურაში კვერცხის შებრაწვამდე.

## ცომში შემწვარი ვაშლი

### (ნამცხვრის მაგიერ)

1 ჩაის ჭიქა რძეს დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 2 კვერცხი, კარგად ათქვიფეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ სქელი არაჟნისებური მასა. ამოავლეთ შიგ ბრტყლად (ლიმონისებურად) დაჭრილი გათლილი ვაშლის ნაჭრები და შეწვით მდუღარე ზეთიან ქვაბში.

ოდნავ შეგრილების შემდეგ, სუფრაზე მიტანამდე მოაფრქვიეთ ვანილიანი შაქრის პუდრი.

## მაკარონი (ან ვერმიშელი) ლორით

150-200 გრამი მოხარშული, წვრილად დაჭრილი ლორი და 100 გრამი დახეხილი ბრინზა ან ქართული ყველი შეურიეთ 500 გრამ მოხარშულ ცხელ მაკარონს ან ვერმიშელს, მოასხით 3 სუფრის კოვზი გამდნარი ერბო ან კარაქი და სუფრაზე მიტანისას მოაყარეთ მცირეოდენი შავი პილპილი.

# კროსვორდი



თარაზულად: 7. სოფიოს როლის შემსრულებელი ფილმში „მხიარული რომანი". 8. კანაფის ან ფოლადის ბაგირი. 9. სურნელოვანი სითხე. 11. ძველი ბერძნების სიმებიანი მუსიკალური საკრავი. 12. ნიგერის რესპუბლიკის დედაქალაქი. 13. თხელი ფიცრის რკალზე გადაკრული ძუის ან ლითონის წმინდა ბადე. 14. თავდაყირა, ყირამალა დგომა. 17. მერქნიანი მცენარე. 20. რომის პაპის ბრძანებულება, წერილი ან სიგელი. 22. ლითონის სამკაული — ტანისამოსზე გასაკეთებელი ბალთა, აბზინდა. 23. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა. 25. რისამე დედააზრი. 26. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი. 30. ჩინეთში, განსუს და ცინხაის პროვინციებში მცხოვრები ხალხი. 33. ქართველი საოპერო მომღერალი. 34. ქართველი მხატვარი მსახიობი. 35. არქიტექტურული და დეკორატიული სტილი მე-18 საუკუნის საფრანგეთში. 36. ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი. 37. გერმანელი კომპოზიტორი. 38. საქართველოს მდინარე.

შვეულად: 1: საგნის ფორმის მიხედვით შეკერილი ქსოვილის ჩამოსაცმელი. 2. ბოსტნეული მცენარე. 3. ს თაყაიშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „ჩვენი ეზო". 4. ე. კლიმოვის ფილმი. 5. აფრიკის უდაბნო. 6. იერი, შესახედაობა. 10. მწვერვალი ოლქთის ქედზე. 15. გ. რობაქიძის დრამა. 16. გოგრის სახესხვაობა. 18. პატარა ქოთანი. 19. ლიტველი მწერალი. 20. ყვითელი პრიალა ყვავილებიანი ერთგვარი ბალახი. 21. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 24. იჯარა. 27. მტკიცე ქსოვილისაგან შეკერილი სათავსი რისამე შესანახად ან გადასაზიდად. 28. ვერცხლის ფული ძველ საქართველოში. 29. ხეებდარგული ფართო ქუჩა ამერიკისა და ზოგი სხვა ქვეყნის ქალაქებში. 30. ქართველი ფერმწერი და გრავიორი, ავტორი სურათისა „მქსოველი გოგონა". 31. ამერიკის კინოაკადემიის პრემია. 32. ქიმიური ელემენტი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა




რედაქციის მისამართი: 380008, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: რედაქტორის 93-98-71; პ. მგ. მდივნის 99-71-68 ცნობებისათვის 93-96-78

მასალები გადაეცა ასაწყობად 9. 03. 92 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 04. 92 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 73.000. შეკვ. 291.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოსასვლელი კაბა

კაბა იქსოვება უთარგოდ, წრიულად. ყოველგვარი ნაკერის გარეშე.

საჭიროა შალის წმინდა სამწვერი ძაფი 800 გრ.

ჩხირები №2 (3 ცალი. ამათგან 2 დამხმარე).

ქსოვის სახე: რეზინი IXI და აჟურული ნახჭი.

აჟურული ნახჭის ნიმუშისათვის აილეთ II თვალი.

1 რიგი — 2 უკულმა, 1 წაღმა, ნამატი, 3 თვალი ერთად წაღმა (ქვეშიდან), ნამატი, 1 წაღმა, 2 უკულმა.

2 და ყველა რიგი უკულმა პირზე — 2 წაღმა, 5 უკულმა (ნამატი თვლები პირდაპირ გამოქსოვეთ, არ გადაგრიხოთ), 2 წაღმა.

3 რიგი — 2 უკულმა, ნამატი, 2 ერთად წაღმა (წინიდან), 1 წაღმა, 2 ერთად წაღმა (ქვეშიდან), ნამატი, 2 წაღმა.

5 რიგიდან ნახჭი მეორდება.

კაბის ქსოვა იწყება საყელოდან. ჩხირებზე შეაბამთ 80 თვალს (თუ დეკოლტე გსურთ — 100 თვალს). და დაიწყებთ 5 სმ სიმაღლის რეზინის IXI ქსოვას წრიულად, რეზინის შემდეგ ერთბაშად, ერთ გადავლაზე უმატებთ 1 თვალს, ყოველი 1 თვალის შემდეგ, მომდევნო გავლაზე მოქსოვთ სულ წაღმა თვლებით და ნამატ თვლებს გამოიყვანთ გადაგრეხით (ქვეშიდან) წაღმით. მესამე გავლაზე კვლავ უმატებთ ყოველი თვალის შემდეგ, კვლავ ნამატ თვალს გამოიყვანთ ქვეშიდან და კიდევ ერთხელ დაგჭირდებათ თვლების მომატება თანაბარზომიერად ისე, რომ საბოლოოდ მიიღოთ 448 თვალი. ეს 448 თვალი უნდა განაწილდეს 64 აჟურულ ზოლად. აჟურულ ზოლებს ერთმანეთისაგან ყოფს 2 უკულმა თვალი, რომელიც უკულმა ზოლს ქმნის. კაბის ბოლოსაკენ თანდათანობითი მატება ხდება ამ უკულმა ზოლის ხარჯზე ისე, რომ 2 უკულმა თვალი უნდა გაიზარდოს 11 ან 13 თვლამდე. ამგვარად კაბა ღებულობს დიდი კლოშის ფორმას.

საყელოდან იღლიამდე მოქსოვეთ 24 სმ სულ წრიულად. შემდეგ მთლიანი ნაქსოვი იყოფა 3 ნაწილად: თითოეული სახელოსათვის გამოყოფთ 17 აჟურულ ზოლს და ორივე სახელოს ცალ-ცალკე დატოვებთ დამხმარე გადაბმულ ჩხირებზე. ტანისათვის დაგრჩებათ 30 აჟურული ზოლი. განაგრძობთ ტანის ქსოვას წრიულად, უკულმა ზოლებზე თვლების თანდათანობითი მატებით: პირველი მატება ხდება საყელოდან დაახლოებით მე-15 სმ-ზე — ერთ გავლაზე 2 უკულმა თვალს შორის ამოუმატებთ ერთ უკულმა თვალს. დაახლოებით 5 სმ-ის შემდეგ კვლავ უმატებთ. ამჯერად, ორ თვალს თითო უკულმა ზოლზე, ნაპირებიდან თითო თვალის შემდეგ (ე. ი. 1 უკულმა, ნამატი, 1 უკულმა, ნამატი და 1 უკულმა. უკულმა ზოლი უკვე 5 თვლამდე გაიზარდა). ასე თანდათანობით, დაახლოებით 10 სმ-ის შემდეგ უმატებთ ორ-ორ თვალს (თითო-თითოს ორივე ნაპირზე) უკულმა ზოლზე, სანამ უკულმა თვლების რაოდენობა 13-მდე არ გაიზრდება. კაბის სიგრძის განსაზღვრა თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. რადგანაც კაბა ელეგანტურია და გამოსასვლელი,უხდება მინი ან მაქსი სიგრძე (დაახლოებით 90 სმ-მდე). კაბის ბოლო სწორად რომ დადგეს, დააბოლოვეთ ლასტისებური ნახჭით (ყოველი რიგი მოქსოვეთ თვლებით).

ახლა დაუბრუნდით სახელოებს და თითოეული მოქსოვეთ ცალ-ცალკე იმავე აჟურული ნახჭით. სახელოებზე 7 თვალის ამომატება დაგჭირდებათ იღლიასთან, რომ სახელოს ერთი აჟურული ზოლი დაემატოს. სახელოს მოქსოვთ პირდაპირ, უცვლელად (უკუკულმა ზოლებს არ გააფართოვებთ) სასურველ სიგრძემდე, საყელოდან დაახლოებით 60 სმ. სახელოს დააბოლოვებთ მანჟეტით (40-45 თვალი რეზინით IXI).

კაბას არც გაუთოვება უნდა და არც შეკერვა. მხოლოდ სახელოების და ბოლოს მოწყვეტილ ძაფებს ჩაამაგრებთ ნემსით.

გირჩევთ, კაბა არ დაკიდოთ, ჩამოგრძელდება. იგი დაკეცილი შეინახეთ.

შენიშვნა: დროთა განმავლობაში, ხმარებაში კაბა საკუთარმა სიმძიმემ შეიძლება დააგრძელოს, იღლიებთან ჩამოიწელოს. ეს ადვილად გამოსწორდება. ვინაიდან კაბის ქსოვა ბოლოთი მთავრდება, ბოლო შეგიძლიათ გადაარღვიოთ სასურველ სიგრძემდე. იღლიასთან კი, სახელოს წინა და უკანა წარმოსახვით ზოლზე იმავე ძაფს ნემსით გაუყრით, ძაფს მოჭიმავთ და სასურველ სიგრძემდე დააყენებთ, ბოლოს კარგად ჩაამაგრებთ.

ლატავრა თეთრაული



100-12
6125/32
ეროვნული ბიბლიოთეკა